ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## დავით ლორთქიფანიძე: „რევოლუციის სუნი არ დგას“

გვ. 3



**10 თებერვლიდან**

თედორე დოსტოევსკი

**მკვდარი სახლის ჩანაწერები**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



შაბათი – კვირა, 11 – 12 თებერვალი, 2017

№35 (7270)

ფასი: 50 თეთრი

# „ოცნების“ ნასვამმა დეპუტატებმა ოპოზიციას საქმე გაურჩიეს



## ჩხუბი პარლამენტში

– ოჯახები ხომ გყავთ, შვილებს რას ეუბნებით, რა გაქვთ გაკეთებული? – დამოძღვრა ყაველაშვილმა „ევროპული საქართველო“.

სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის შეგონებებს ელენე ხოშტარია ტელეფონის საშუალებით იღებდა.

აურზაურის მიუხედავად, ეს ამბავი ყაველაშვილს არ გამოჰპარვია და კოლეგას უსაყვედურა, ოპერატორობა დაიწყეო.



გვ.2

## ნიკა მელია: „ეს არის ივანიშვილის გაფრთხილება“



დაიწყება თუ არა აქციები რუსთავი 2-ის დასაცავად



გვ.3

## კონსტანტინე გამსახურდია: „მთვრალი ხელისუფლება უნდა გამოაფხიზლო“

გვ.3

„მარგინალები სიტუაციას ძალიან ხშირად აცოცხლებენ“



## მამუკა გამყრელიძე: „თავისუფალი სიტყვის დასაცავი აქციები მუდმივად გაგრძელდება“



გვ.4

## ანზორ აბრალავა: „მაღლაფერიძის ხედვები არასწორია“

„პროტესტმა ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი არ უნდა მიიღოს“



გვ.5

## ქართული წარმოების უნაკერო მილები ევროკავშირის ბაზარზე გავიდა

ISSN 1987-9385



გვ.6

## „მეწარმემ ყველა რისკი თავად უნდა დააზღვიოს“





გვ.6

„დროა, სახელმწიფოსკენ ხელის გაშვერის პრაქტიკა დავივიწყოთ“



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

შორენა მარსაგიშვილი

# „ოცნების“ ნასვამმა დეპუტატებმა ოპოზიციას საქმე გაურჩიეს

## ჩხუბი პარლამენტში

**საქართველოს პარლამენტის ახალმა თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო. 10 თებერვლის სხდომაზე მეოცნებეებმა და ნაციონალებისგან გამოყოფილმა „ევროპულმა საქართველომ“ ერთმანეთზე გაიწიეს.**









აურზაური და კოლეგათა შორის შუღლი ელენე ხოშტარიას ქმედებამ გამოიწვია. დეპუტატმა სხდომათა დარბაზში ბანერის გამოფენა გადაწყვიტა. ბანერს ასეთი წარწერა ამშვენებდა: „არა მედიაზე შტურმს“.

ხოშტარიას ქმედების აღკვეთას ჯერ მანდატურები შეეცადნენ, მერე მეოცნებეებიც წამოიშალნენ ადგილებიდან. დეპუტატმა ყველა მოიგერია და ბანერი გაშალა.

მისი განმარტებით, ეს არის პროტესტის ერთგვარი ფორმა და ის სოლიდარობას უცხადებს ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მედიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით წინააღმდეგობას გამოხატავენ.

— პარლამენტია სწორედ ის ადგილი, სადაც საზოგადოების საზრუნავი უნდა გავაჟღეროთ. ეს არის პროტესტის ფორმა იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და რუსთავი 2-ში, მაგრამ პარლამენტი დღეს გადაიქცა ნოტარიუსად, სადაც მხოლოდ პროცედურებზე საუბრობენ, სადაც რეალური დებატები რეალურ პრობლემებზე არ არის, — განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

სხდომათა დარბაზში ბანერის გამოფენა არც პარლამენტის სპიკერს მოეწონა. ირაკლი კობახიძის განმარტებით, გამოხატვის ასეთი ფორმები ხელს უწყობს კონფრონტაციული გარემოს ჩამოყალიბებას.

— იყო თხოვნა, ჩავრეულიყავი და არ მიმეცა უმცირესობისთვის ტრანსპარანტის გამოფენის შესაძლებლობა, თუმცა განვმარტავ, რომ მოქმედი რეგლამენტი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. რეგლამენტის თანახმად, არა მაქვს უფლება, გამოხატვის ასეთი ფორმები შევზღუდო.

მხოლოდ ერთ კომენტარს გავაკეთებ, რომ, სამწუხაროდ, გამოხატვის ასეთი ფორმები ხელს უწყობს კონფრონტაციული გარემოს ჩამოყალიბებას, გაღრმავებას. ეს არის რეალობა, რომელსაც ვხედავ. მე ასეთ პრაქტიკას არ მივესალმებოდი. ასეთი რამ შეიძლება განმეორდეს სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მხრიდან, სხვადასხვა ტიპის ტრანსპარანტები შეიძლება ვიხილოთ და ასე შემდეგ. ჩემი პირადი პოზიციაა, გამოხატვის ასეთი ფორმები რაც შეიძლება ნაკლებად გამოვიყენოთ ერთი თუ მეორე მხრიდან, — განმარტა კობახიძემ.

სანამ სპიკერი თავის სეფე სიტყვას იტყოდა, გაევროპელებულ ნაციონალებს მეოცნებე დეპუტატებმა გაურჩიეს საქმე. საქმე შელაპარაკების იქით არ წასულა, მაგრამ ერმა ერთ კაი სკანდალს გამოჰკრა ხელი.

ყოფილი ხელისუფლებისთვის რაღაცების ახსნის სურვილი სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილსაც გაუჩნდა.

— ოჯახები ხომ გყავთ, შვილებს რას ეუბნებით, რა გაქვთ გაკეთებული? — დამოძღვრა ყაველაშვილმა „ევროპული საქართველო“.

სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის შეგონებებს ელენე ხოშტარია ტელეფონის საშუალებით იღებდა.

აურზაურის მიუხედავად, ეს ამბავი ყაველაშვილს არ გამოჰპარვია და კოლეგას უსაყვედურა, ოპერატორობა დაიწყეო.

ყაველაშვილის შთაგონებები გაევროპელებულმა ნაციონალებმა სოციალურ ქსელებში გაავრცელეს. ისინი ამტკიცებენ, რომ სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„ევროპული საქართველოს“ შეფასებითვე არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა სხდომათა დარბაზში უმრავლესობის კიდევ ერთი დეპუტატი ბიძინა გეგიძე.

მეოცნებეებმა მოგვიანებით რომან გოცირიძის სიფხიზლეში შეიტანეს ეჭვი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამ უკანასკნელმა „ოცნება“ რუსთაველისა და სამართლიანობის მკვლელობაში დაადანაშაულა.

ამის გარდა, მან პარლამენტში იეთიმ გურჯის მიყვანის პირობაც დადო, რაზეც დეპუტატებს გააყრიალათ.

— გიხაროდენ, ბოლო რიგში მჯდომი თქვენი დეპუტატი საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა და კონტრრევოლუცია მოახდინა — ქალბატონი მანანა კობახიძის წყალობით საკონსტიტუციო სასამართლო ვერასდროს მიიღებს ისეთ დოკუმენტს, რომელმაც მოსმენებთან დაკავშირებით არაკონსტიტუციური და უკანონო კანონი შეაჩერა, — აღნიშნა გოცირიძემ პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას.

დათრგუნულმა გოცირიძემ მეტი ეფექტის მოსახდენად კოლეგებს იეთიმ გურჯის სიტყვებით მიმართა.

— გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისას რომ შეგეშალათ და ჰიმნის ნაცვლად შალახო დაუკარით. ახლა მობილურს ჩავრთავდი და აი აქ იეთიმ გურჯს დავუკრავდი: რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალია, ვის შევჩივლო — რუსთაველი მკვდარია! მკვდარია საკონსტიტუციო სასამართლო. ვის შევჩივლოთ?! — რუსთაველი მოკლა მანანა კობახიძემ თქვენი თამადობით. სად გავასაჩივროთ?! ახლა იეთიმ გურჯს მოვიტან და ვამღერებ აქ, მეორედ რომ მოვალ, — აღნიშნა დეპუტატმა.

თითქმის მისმა თანაპარტიელმა გიორგი კანდელაკმა კი ხელისუფლება საბჭოთა ოკუპაციისადმი ნოსტალგიაში დაადანაშაულა.

ამ დასკვნამდე დეპუტატი სიმონ ნოზაძემ მიიყვანა, რომელმაც პლენარულ სხდომამდე კომიტეტის სხდომაზე გააკეთა „ევროპული საქართველოსთვის“ სკანდალური განცხადება.

თავის მხრივ, ნოზაძემ მოსმენებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინაურის დროს ერთდროულად მხოლოდ 25 აბონენტის ჩართვა შეიძლებოდა, შევარდნაძის დროს, 90-იან წლებში — რამდენიმე ათეულის.

— ისეთი მასობრივი დარღვევები ადამიანის უფლებებისა, როგორიც 2000-იან წლებში, სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო, უსმენდნენ ყველას, უსმენდა ყველა ქვედანაყოფი, — აღნიშნა სიმონ ნოზაძემ.

ამ განცხადებით სულშეძრული გიორგი კანდელაკი არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებამ 25 თებერვალიც იზეიმოს.

— სიმონ ნოზაძის განცხადებით, ინაურის საბჭოთა კავშირის კაგებეს დროს თურმე უფრო ცივილიზებულად ხდებოდა მოსმენები. მან გაამართლა და ერთგვარად სამართლიანად წარმოაჩინა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდი. აი, ეს არის „ქართული ოცნება“, რომელიც საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდს, შევარდნაძის პერიოდს მიიჩნევს სამართლიანად.

როდესაც ხვრეტდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს, ეს არის თქვენთვის სამართლიანი პერიოდი, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის იდეა იყო დასჯადი, ეს არის ის პერიოდი, რომელსაც მისტირით.

ამ ყველაფრის სამართალმემკვიდრე უშიშროების სამსახურს როგორ ექნება ნდობა? როგორ ექნება ნდობა იმ უშიშროების სამსახურს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის დაცვის უფროსი ხელმძღვანელობს და რომელიც კონტრდაზვერვით საქმიანობას, ფაქტობრივად, არ აწარმოებს? ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამაც საჯაროდ დააფიქსირა, რომ მიცემული აქვს ინსტრუქცია კონტრდაზვერვის სამსახურს, რუსეთის მიმართულებაზე არ იმუშაოს.

თუკი რუსეთის აგენტობისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის გამოვლენა ხდება ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, გერმანიაში, საქართველოში, რა, მტრული სახელმწიფოს აგენტები, რომელიც ჩვენი ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციას აგრძელებს, არ არსებობენ? თუ არ არსებობენ, რაში ვუხდით ფულს უშიშროების სამსახურს, რომელსაც ეზრდება და ეზრდება დაფინანსება, განსხვავებით ჩვენი ჯარისგან, რომელსაც უმცირდება დაფინანსება?! — განაცხადა კანდელაკმა.

* * *

ეტყობა, 10 თებერვალი ნეგატიური დღე იყო და დეპუტატებმა კომიტეტის სხდომაზეც იკამათეს.

ხმაური თავდაცვისა და უშიშროების და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე იყო, სადაც კანონმდებლები მოსმენების კანონპროექტს განიხილავდნენ. აქ უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

ერთმანეთს მეოცნებე ეკა ბესელია და ევროპელი ოთარ კახიძე ეკვეთნენ.

კახიძემ უმრავლესობა მოსმენების შესახებ კანონის მათივე ინტერესების გამოყენებაში დაადანაშაულა. დეპუტატის თქმით, ახალი კანონპროექტით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არასწორად გამოყენება ხდება.

მისი განცხადება არ მოიწონა ბესელიამ და ოპოზიციონერს წარსული შეახსენა. მეტიც, მან კოლეგას საკუთარი მოქალაქეების ამომჟუჟავი უწოდა.

— დიახ, შენც ხარ მაგ სისტემის ნაწილი და შეწყვიტე ლაპარაკი, — მიაკივლა ბესელიამ ოპოზიციონერს.

მას ვალში არც კახიძე დარჩენია. მან ბესელიას ცილისმწამებელი უწოდა, რომელმაც პოლიტიკური კარიერა ცილისწამებით გაიკეთა.

კახიძის განმარტებით, წინა ხელისუფლება მოსმენებს რუსი ჯაშუშების წინააღმდეგ იყენებდა, რომლებიც მოქმედმა ხელისუფლებამ პოლიტპატიმრების სტატუსით ციხეებიდან გაათავისუფლა.

თავის მხრივ, ეკა ბესელიამ „ენვერის“ საქმეს შეთითხნილი უწოდა.

# ვასილ მაღლაფერიძე: „2019 წელს გადავდგები“



— 2019 წელს, ჩვენი გეგმის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი შეძლებს გახდეს სერიოზული მოთამაშე ბაზარზე და, ვფიქრობ, რეიტინგი 15% კი არა, უფრო მეტი უნდა იყოს.

ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძემ არხის სამომავლო სტრატეგიასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, თუ საზოგადოება ფიქრობს, რომ მაუწყებლის რეიტინგი 2-3-4% უნდა იყოს, მას ეს ციფრები არ აინტერესებს და უფრო მეტს მოითხოვს.

კითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებს, თუ 15%-იანი რეიტინგი არ ექნება არხს 2019 წლის ბოლოს, ვასილ მაღლაფერიძე აცხადებს, რომ ორივე შემთხვევაში — ექნება თუ არ ექნება 15%-იანი რეიტინგი — გადადგება.

— თუ 2019 წელს მიზანი მიღწეული იქნება და საზოგადოებრივი მაუწყებელი შეძლებს, პოლიტიკური მოთამაშე გახდეს, მე გადავდგები და ვიქნები ამაყი.

თუ ვერ შესრულდა, მაინც გადავდგები. როდესაც ეს შესრულდება, მე ვიტყვი, აი, აწყობილია ტელევიზია, პოლიტიკური, შემეცნებითი თუ საგანმანათლებლო კუთხით და ჩავთვლი, რომ ჩემი საქმე გაკეთებულია. ეს იქნება ჩემი პასუხისმგებლობა. სხვა პასუხისმგებლობა არ ვიცი.

მისივე განცხადებით, არხის 102 გადაცემიდან, გარდა „მოამბისა“, ყველა გაივლის „ფილტრს“. თუ რა „ფილტრზეა“ საუბარი, მაღლაფერიძის თქმით, ამის შესახებ მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში გახდება ცნობილი.

ვასილ მაღლაფერიძემ არასამთავრობო და მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარი მედიასთან არ გააკეთა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კონსტანტინე გამსახურდია: „მთვრალი ხელისუფლება უნდა გამოაფხიზლო“

## „მარგინალები სიტუაციას ძალიან ხშირად აცოცხლებენ“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***— ბატონო კონსტანტინე, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე რას იტყვით?***

— სამწუხაროდ, სიტუაცია თანდათან, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, 2006 წელს ემსგავსება. მაშინ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი და მთელი ეს პროცესი ჩემ თვალწინ ვითარდებოდა. ნაციონალურმა მოძრაობამ ჩათვალა, რომ თავი ქუდში აქვს და ძალიან დიდი შეცდომაც დაუშვა. სწორედ მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო. მართალია, წინ ამ ყველაფერს გირგვლიანის მკვლელობა უძღოდა, მაგრამ შემდგომ განვითარებული მოვლენები, 2007 წლის 7 ნოემბერი, „იმედში“ შევარდნა, შემდეგ 2009 წლის მოვლენები. ამ ყველაფერს მე შუა გზაზე შეჩერებულ რევოლუციებს ვუწოდებ.

***— ამ პარალელების გავლებისას ხომ არ აჭარბებთ?***

— არ ვაჭარბებ, რადგან მე ვსაუბრობ აბსოლუტურ ძალაუფლებაზე, რომელიც არსაიდან არ კონტროლდება და არ ბალანსდება. ასე იყო მაშინაც და ასეა დღესაც. ეს არის საფრთხის შემცველი ყველა ხელისუფლებისთვის.

მე არ ვადარებ მიხეილ სააკაშვილსა და დღევანდელ ხელისუფალს. სააკაშვილის გაუწონასწორებელი, ტლანქი ბუნება არ შეიძლება დღევანდელ ხელისუფლებას შეადარო, მაგრამ ჩვენ, საზოგადოება, ვალდებული ვართ, ჩვენი ხელისუფლება გამოვაფხიზლოთ, როდესაც ის მძიმე თრობის ტალღაზეა.

როგორც ჩანს, ყველა ხელისუფლებას უდგება ხოლმე თრობის ჟამი. ამ დროს საზოგადოება ვალდებულია, შეანჯღრიოს, გამოაფხიზლოს. რატომღაც მგონია, რომ ახლა გვაქვს 2006 წლის გაზაფხულის სიტუაცია, როდესაც გარკვეული საპროტესტო ტალღა დაირხა. თუ დაკვეთა გაჩნდება, აუცილებლად გამოჩნდება შემსრულებელი.

***— დღევანდელი ოპოზიცია სრულ აპათიაშია.***

— არა მგონია, ასე იყოს. ქრონიკული მომიტინგეები, ალბათ, ადგილზე არიან. ქუჩა ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელისუფლების გამოფხიზლებაში. სხვათა შორის, მარგინალები ძალიან ხშირად აცოცხლებენ სიტუაციას. როგორც ჩანს, შავი ჯიპის დაბურული სარკმლებიდან თუ საქარე მინიდან სამყაროს განსხვავებულად აღვიქვამთ და მთელი პრობლემაც ამაშია. ეს ყველა ხელისუფლებას, სამწუხაროდ, ერთნაირად ახასიათებდა. ამას ვერ ვიტყვი ზვიადის ხელისუფლებაზე, რადგან მაშინ სხვა რომანტიკა იყო და გარკვეულ როლს, ალბათ, ზვიად გამსახურდიას პერსონაც თამაშობდა.

***— დღეს რამდენად გააცნობიერებს გარკვეულ რისკებს ხელისუფლება?***

— ვერ გეტყვით, რადგან არ ვიცი, როგორ მოახერხებს ხელისუფლება ამ ყველაფრის დაბალანსებას. წინა ხელისუფლებამ როგორც მოახერხა, ვნახეთ. ამ დროს აუცილებელია, ხელისუფლებამ სწორად შეაფასოს რისკები და ჭკვიანური ნაბიჯები გადადგას. ხელისუფლების ბერკეტებთან ყოფნას ახლავს მსგავსი ავადმყოფობა.

მე ერთი დასკვნა გავაკეთე. როგორც ჩანს, ძალაუფლებას ახლავს თავისი დაავადება — მე ვარ და ჩემი ნაბადი, როდესაც არავის აზრი არ გაინტერესებს, როდესაც თავი ყველაზე მართალი გგონია, უფრო ზუსტად კი — ყველაზე მაგარი. ყველა ხელისუფლის შეცდომაა, როდესაც ის ფიქრობს, რომ ამას ხალხი გადაყლაპავს, შეეგუება.

***— ხშირად ასეც არის.***

— დიახ, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ზღვარი. ამ ზღვარს იქით არ შეიძლება, არავინ გადავიდეს. ადამიანები მაშინ გამოდიან ქუჩაში, როდესაც დასაკარგი არაფერი აქვთ. დოლარი გაჭენდა, ფასები ავარდა, აქციზი შემოიღეს, ამით ყველას ჩაუყვეს ჯიბეში ხელი, თუმცა ერთი მეტად დამახასიათებელი ნიშანი ქართველისთვის არის, როდესაც მის ღირსებას ეხებიან, რასაც ის არ ითმენს და ადეკვატურადაც პასუხობს.

დღეს საქართველოს მოქალაქეებს ეუბნებიან, რომ ისინი საზოგადოებრივი მაუწყებლის ღირსები არ არიან. ეს კი საშიში ზღვარი მგონია. რატომღაც ვუყურებ მოვლენებს და „სამი მუშკეტერი“ მახსენდება, სადაც აღწერილია, თუ როგორ შეასკდნენ, ერთი მხრივ — ინგლისის, მეორე მხრივ კი საფრანგეთისა და ესპანეთის ფლოტები.

სულაც არ ვამბობ, რომ რეფორმა არ არის საჭირო. ამისთვის დიდი ხნის წინ უნდა ეფიქრათ, მაგრამ არავის აწყობდა რეფორმირებული საზოგადოებრივი მაუწყებელი, სადაც ყველაფერი იქნებოდა მაღალი სტანდარტის შესაბამისად, მათ შორის ის დაფინანსებაც, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გავიღებთ, იქნებოდა ადეკვატურად დახარჯული და არა — გაფლანგული.

ხომ ითხოვენ რჩევებს, წინადადებებს. მე მაქვს რჩევა, რომელიმე განვითარებული ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლის მოდელი გადმოიღონ და მოარგონ ჩვენს რეალობას. ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო, თუ, რასაკვირველია, რეალურად სურთ მაუწყებლის რეფორმირება.

# ნიკა მელია: „ეს არის ივანიშვილის გაფრთხილება“



## დაიწყება თუ არა აქციები რუსთავი 2-ის დასაცავად

შორენა მარსაგიშვილი

**რუსთავი 2-ის დასაცავად შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ, რომელიც 8 პარტიისგან შედგება, 10 თებერვალს რუსთავი 2-ის დასაცავად საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები რუსთაველის გამზირზე შეიკრიბნენ და უზენაეს სასამართლომდე მსვლელობა გამართეს.**







რამდენიმე დღეში უზენაესმა სასამართლომ ტელეკომპანიასთან დაკავშირებით განაჩენი უნდა გამოიტანოს. თუ სასამართლო არაობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს, საკოორდინაციო საბჭო პერმანენტული აქციების გამართვას აპირებს.

მართალია, საპროტესტო აქცია უზენაესი სასამართლოს წინ გაიმართა, მაგრამ აქციის მონაწილეთა მთავარი ადრესატი ბიძინა ივანიშვილი იყო.

დეპუტატ ნიკა მელიას განცხადებით, მათ ბრძოლა მხოლოდ რუსთავი 2-ის დასაცავად არ წამოუწყიათ. მათი მთავარი სამიზნე ბიძინა ივანიშვილია.

— ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სივრცე, სადაც შეგვეძლება ვისაუბროთ თავისუფლად იმ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს საქართველოში. ქვეყანაში როცა ხელისუფლება გარიგებაში შედის მოსამართლესთან, ამის შემხედვარე ხელისუფლება ხმას არ იღებს და, კიდევ უფრო მეტი, ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებს, რა გამოსავალი რჩება?

საზოგადოება ასეთ შემთხვევაში იწყებს ამ მანკიერი პრაქტიკის წინააღმდეგ მშვიდობიან დემონსტრაციას. ეს ბრძოლა არ არის მხოლოდ რუსთავი 2-სთვის ბრძოლა. ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, არის პუტინის მიერ სპეცოპერაციით დანიშნული ოლიგარქის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, — მიმართა მელიამ აქციის მონაწილეებს.

კანონმდებელმა ქვეყანაში ოპოზიციურად განწყობილი მედიასაშუალებების ფუნქციონირების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და ამ კონტექსტში სანდრო გირგვლიანის ტრაგედიაც გაიხსენა.

— წლების წინ ამ ქვეყანაში მოხდა დიდი უბედურება სანდრო გირგვლიანთან დაკავშირებით. როდესაც ეს ტრაგიკული შემთხვევა მოხდა, რომ არა მაშინდელი ოპოზიციური არხი ტელეკომპანია იმედის სახით, სანდრო გირგვლიანის ოჯახისა და მეგობრების გარდა, ბევრი ადამიანი და ნახევარი ქვეყანა ამ ამბავს ვერ შეიტყობდა. ოპოზიციურმა ტელეკომპანიამ ეს ამცნო საზოგადოებას. დღეს კი ქვეყანაში ძალიან ბევრ ადამიანს არ ეცოდინებოდა, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. რუსთავი 2 არის ხალხის ტელევიზია. ხელისუფლება მოქმედებს, რომ თავისუფალი აზრი და სიტყვა ჩაახშოს, — აღნიშნა დეპუტატმა.

მისი თქმით, 10 თებერვლის აქცია ივანიშვილისთვის გაფრთხილება იყო.

ყოფილი დეპუტატი პაატა დავითაია მიიჩნევს, რომ აქციები მანამდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე თავისუფალი სიტყვა დაცული არ იქნება.

— რუსთავი 2-ისა და სიტყვის თავისუფლების დასაცავად უნდა იყოს შექმნილი ისეთი სიტუაცია, რომ არ იყოს ერთჯერადი, არამედ პერმანენტული მანამდე, სანამ ჩვენ არ გავიმარჯვებთ, სანამ სიტყვის თავისუფლება დაცული არ იქნება. მოხერხდა ის, რომ შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შედგება რვა პოლიტიკური პარტიისაგან, რომლებიც იმოქმედებენ კოორდინაციაში და ყველაფერს გააკეთებენ, სანამ გამარჯვება მიღწეული არ იქნება, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

საზოგადოებას თავისუფალი სიტყვის დაცვისკენ მოუწოდა ედპეს ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ, რომლის აზრითაც, აქციის მონაწილეები თავისუფალი საქართველოს მეციხოვნეები არიან.

მისივე მტკიცებით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დასავლეთმა საქართველოს ზურგი აქციოს.

— ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ დასავლეთის კარი საბოლოოდ მიუჯახუნონ საქართველოს და რჩება ერთადერთი არჩევანი — ჩრდილოეთი, მაგრამ ეს არის არა ხალხის, არამედ ხელისუფლების არჩევანი. ქართველი საზოგადოება ხელისუფლებას ამ არჩევანის საშუალებას არ მისცემს.

ყველაზე დიდი აგრესია და ბრძოლა ხელისუფლებამ რუსთავი 2-ის წინააღმდეგ გამართა, რადგან სწორედ რუსთავი 2 დგას დემოკრატიული ფასეულობების დაცვის სადარაჯოზე, ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ „არა რუსეთს“, დავდგეთ რუსთავი 2-ის გვერდით და დავიცვათ თავისუფალი სიტყვა და დემოკრატიული ღირებულებები, — განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

# ირაკლი სესიაშვილი: „იდეალურ სისტემას ვერ შევქმნით“



— იდეალურ სისტემას ვერ შევქმნით, მაგრამ ვცდილობთ, უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებებს შორის ერთგვარი ბალანსი ვიპოვოთ.

ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, სადაც ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტს განიხილავდნენ.

— საერთაშორისო გამოცდილება ჩვენ გვაჩვენებს, რომ ყველა ქვეყანას აქვს განსხვავებული მიდგომა, თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია ზოგადად ქვეყანაში შექმნილ უსაფრთხოების გარემოზე, დემოკრატიის განვითარების ხარისხსა და შესაძლებლობაზე და ჩვენ ამ დროსა და სივრცეში ვცდილობთ, ერთგვარი ოქროს შუალედი ვიპოვოთ.

ეს მარტივი არ არის, თუმცა, რა სისტემაც გვქონდა, იმაზე უკეთესსა და უკეთესს ვიღებთ და ეს არ არის საბოლოო, პროცესი უნდა გაგრძელდეს, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ანზორ აბრალავა: „მაღლაფერიძის ხედვები არასწორია“

## „პროტესტმა ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი არ უნდა მიიღოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას ესაუბრა.**

***– ვარაუდობდნენ, რომ თებერვალ-მარტში დაიწყებოდა მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები ფასების ზრდისა და უმუშევრობის გამო. სოციალური საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, მაგრამ ისინი უფრო შრომით უფლებებს ეხება, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების უფლებების დაცვას.***

– სოციალურ საკითხებზე გამოსვლები და პროტესტი არც გასაკვირია და არც მიუღებელი. საქართველო უამრავი პრობლემის წინაშე დგას. ბევრი მოუგვარებელი საკითხი დაგროვდა, წინა წლებიდან მოყოლებული. რთულ, ფეთქებადსაშიშ რეგიონში ვცხოვრობთ და ესეც ირეკლება ჩვენი მოქალაქეების ყოფაზე. შრომითი უფლებებიც დასაცავია. იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც საპროტესტოდ გამოვიდნენ, ზოგიერთი დამოუკიდებელი და გულწრფელია, თუმცა არსებობს დიდი საფრთხე.

***– კერძოდ?***

– მათ აქტივობას სათავისოდ გამოიყენებს ნაციონალური მოძრაობა. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ სხვადასხვა საპროტესტო აქციამ ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი არ მიიღოს. სააკაშვილმა, რომელსაც საქართველოში ხელისუფლების დამხობის იდეა არ ასვენებს, ახალი დირექტივები გასცა. ჩვენ ამ ლაბირინთებიდან უნდა გამოვიდეთ და სააკაშვილს თავისი გეგმების განხორციელების უფლება არ მივცეთ.

***– რევოლუციურ გეგმებზე საუბარი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეწყდა.***

– აშკარაა, რომ სააკაშვილმა განაახლა ძალადობრივი სცენარები. ეს იმიტომ მოხდა, რომ არჩევნებში ვერ მიიღეს ის, რასაც ელოდნენ. ცოტა ხნის წინ სააკაშვილს დაგეგმილი ჰქონდა სამხედროების აბუნტება. სამხედროების თემაზე ამხელა ამბავი იმიტომ ატეხეს.

არსებობს ჰორიზონტალური პროცესების განვითარების გეგმა. ნაციონალების ახალმა სახემ, ბიბილაშვილმა, ის გაახმოვანა. ჰორიზონტალური იმას ნიშნავს, რომ ნაციონალები თავიანთი ღია და ფარული სატელიტების, ასევე რუსთავი 2-ის მეშვეობით ჩართავენ საპროტესტო მოძრაობაში საზოგადოების ჯგუფებს, ფართო ფენებს. მათი სურვილია, საპროტესტო მოძრაობაში ყველა ჩაებას. ეს სხვა არაფერია, თუ არა ხელისუფლების დამხობის ოპერაცია. სატელიტი პარტიები და არასამთავრობოები უკვე დაირაზმნენ.

***– ოპონენტები ხელისუფლებას ადანაშაულებენ სიტყვის თავისუფლების შელახვაში რუსთავი 2-თან მიმართებით.***

– რუსთავი 2 დაზარალებული არ არის. ის თვითონაა შეტევაზე გადასული. ამ ტელეკომპანიას არაერთხელ გაუცია სახელმწიფო საიდუმლო და მტრისთვის თავის გადაცემებში ღიად უჩვენებია ის, რაც არ უნდა ეჩვენებინა. ცოტა ხნის წინ ეს კიდევ ერთხელ მოხდა. ნაცმოძრაობა და რუსთავი 2 სხვებს ეძახიან მოღალატეებს და საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაში, რომ სამხედრო ცერცვაძე უკრაინაში დააკავეს. სინამდვილეში, ნაციონალები და მათი ტელევიზია თვითონ აგრძელებენ რუსეთის საქმის კეთებას და ასაჯაროებენ ჩვენი სამხედროების კოორდინატებს. ეს ახლა კიდევ ერთხელ გააკეთეს.

***– ხელისუფლებას აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ ის რუსთავი 2-ის გენდირექტორის სატელეფონო საუბრებს ამონტაჟებს და აყალბებს.***

– ამ საუბრებს სულ რომ არ მივაქციოთ ყურადღება, ისედაც ნათელია, რას აკეთებს ნიკა გვარამია და რა მიზნები აქვს. მას ღიად, პირდაპირ ეთერში არაერთი განცხადება აქვს გაკეთებული. ეს აგრესიული განცხადებებია და ძალადობისკენ მოწოდებებს შეიცავს. ძალადობისკენ მოწოდება დასჯადია. სხვა რომ აკეთებდეს ამას, დაიჭერდნენ. გვარამიას არ ეხებიან, იმიტომ, რომ ვინც ნაციონალებთანაა, ყველას დაუსჯელობის ქოლგა იცავს.

***– სოციალური პროტესტი საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების უფლებებსაც შეეხო. ბევრი მათგანი დარჩება უმუშევარი იმ გეგმის რეალიზაციის შემთხვევაში, რომელიც ტელევიზიის ახალმა მენეჯმენტმა წარმოადგინა.***

– ახალი გენდირექტორის, ვასილ მაღლაფერიძის ხედვები ბუნდოვანი და არასწორია. იმ მოტივით, რომ ბევრი რამ შესაცვლელია და თანხებია საშოვნელი, გადაცემების დახურვა უცნაურია. ამ ლოგიკით, მოსახლეობა უნდა შევამციროთ, რომ ბიუჯეტი ყველაფერს ეყოს. აუცილებელია ტრანსფორმაცია, მოდერნიზება, ზოგიერთი გადაცემის შინაარსის შეცვლა. ამისთვის მოსაზიდია ფული როგორც ბიუჯეტიდან, ისე არასაბიუჯეტო წყაროებიდან. გადაცემების დახურვა გამოსავალი არ არის. გადაცემების უკან უამრავი ადამიანი დგას, რომლებიც ულუკმაპუროდ დარჩებიან.

***– ბორდთან შეხვედრის შემდეგ ითქვა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა მხოლოდ რეიტინგით არ უნდა შეფასდეს.***

– დიახ, მხოლოდ რეიტინგით არ უნდა შეფასდეს. ან რატომ უნდა იყოს სწორება სხვა ტელევიზიებზე? ეს ტელევიზიები ხშირად აფიშირებას უწევენ ნარკომანიასა და პროსტიტუციას.

***– აღნიშნეთ, რომ ნაციონალებთან ვინც არის დაკავშირებული, დაუსჯელია. ეს კოაბიტაციის ბრალია?***

– ხელისუფლება ცდილობს, კონსტრუქციული იყოს. ამით სარგებლობს ნაციონალური მოძრაობა და ახალ რევოლუციურ სცენარებს დგამს. სააკაშვილსა და მის სატელიტებს ჰქონდათ პროცესებში სამხედროების ჩართვის სურვილი. ისინი ცდილობენ სოციალური პროტესტის გამოყენებასა და პროვოკაციების მოწყობას. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ შეიძლება დაიწყოს ისეთი პროცესები, რომელთა შეჩერებაც ძნელია. ისტორიას მსგავსი მაგალითები ახსოვს.

***– ხელისუფლება თავისი შეცდომებით არ აძლევს გააქტიურების საბაბს ნაცმოძრაობას?***

– ესკალაციას ხელი არ უნდა შეეწყოს. სწორედ ამაზე ვსაუბრობ. საჭიროა სიფრთხილე და გონიერება. ტელევიზიები მხოლოდ სიკვდილზე, აფეთქებაზე, ძარცვასა და ნგრევაზე არიან ორიენტირებული. კარგი რაც კეთდება, ამას მალავენ. სააკაშვილის იდეოლოგიური მანქანა – რუსთავი 2 – მუშაობს ისე, როგორი დავალებაც აქვს. ამბობენ, რუსთავი 2 დასაცავიაო. რუსთავი 2 კი არ არის დასაცავი, ჩვენი საზოგადოებაა დასაცავი ამ ტელეკომპანიის ფსიქოლოგიური შტურმისგან.



### „სააკაშვილმა ახალი დირექტივები გასცა“

# დავით ლორთქიფანიძე: „რევოლუციის სუნი არ დგას“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ქართული ოცნების" წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან" აცხადებს, რომ ქვეყანაში წინარევოლუციური მდგომარეობა არ არის, მაგრამ საზოგადოების გარკვეულ წრეებში არსებობს რევოლუციური განწყობები.**

***– დღეს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას როგორ აფასებთ? ზოგიერთი დღევანდელ სიტუაციას აფასებს, როგორც რევოლუციისთვის კლასიკურ მოცემულობას.***

– წინასარევოლუციო მდგომარეობა არ არის. არც ყველაფერია ძალიან კარგად. ზოგიერთს სურს იმგვარი სურათის დახატვა, რომ ქვეყანაში არის აპოკალიფსური მდგომარეობა. მათ მიმართ სოლიდარული ვერ ვიქნები.

***– ერთი ნაპერწკალია საჭირო და ერთ დღეში ბარიკადები აღიმართებაო. როდესაც ასეთი აზრები ჩნდება, რაღაც წანამძღვრები არ არის?***

– დღეს ქვეყანაში დემოკრატიის უმაღლესი ხარისხია. იმ მოცემულობაში, როდესაც არ იდევნება თავისუფალი სიტყვა, ბეჭდვითი მედია და ელექტრონული მედია (ეს ასეც უნდა იყოს), საზოგადოების გარკვეულ წრეებში არსებობს რევოლუციური განწყობები.

ამ ქვეყანაში დავიბადე, გავიზარდე და გავიარე ყველა ის კატაკლიზმი, რომლებიც ქვეყანამ ბოლო 25 წლის განმავლობაში გაიარა. ნამდვილად არ არის წინასარევოლუციო მდგომარეობა. ჭიქაში ქარიშხლის ატეხა ნამდვილად უადგილოა დღევანდელი მოცემულობისთვის.

***– რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ განცხადებები, რომ შეიძლება გააჩერონ საზოგადოებრივი ტელევიზიის ყველა პროგრამა და დაითხოვონ ჟურნალისტები? ჩვენ გვახსოვს ტელევიზიის კიბეებზე ჩამომსხდარი ჟურნალისტები. ეს ხომ არ იქნება ერთი აგური რევოლუციის მოსურნეთათვის?***



– საზოგადოებრივ მაუწყებელში არის სერიოზული პრობლემები. ის თვისობრივად განსხვავებული ტელევიზიაა. ის ფინანსდება საზოგადოების მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხებით, წელიწადში 38-40 მილიონით. ამხელა თანხების აკუმულაციის პირობებში მისი პროდუქტი უნდა იყოს ბევრად უფრო საინტერესო და ხარისხიანი. საზოგადოებრივ მაუწყებელში უნდა განხორციელდეს სერიოზული ცვლილებები, მოხდეს თვისობრივი გადახალისება.

***– დიდი გართულებების ფასად ღირს ცვლილებების განხორციელება? ხომ შეიძლება, ცვლილებები ისე განხორციელდეს, რომ მტკივნეული არ იყოს?***

– ამისთვის ძალიან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, სერიოზული პროგრამაა შესამუშავებელი, რომელიც გამორიცხავს მტკივნეულ პროცესებს და იქ მომუშავეებს არ დატოვებს ლუკმაპურის გარეშე.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა, რომელიც 9 თებერვალს იყო და ზოგიერთი ტელევიზია ტირაჟირებდა, თითქოს ახალგაზრდები შეიჭრნენ ტელევიზიაში. მათ არ უნდა დასჭირდეთ ემოციის ფონზე ტელევიზიაში ძალით შეღწევა.

***– ბოლო დროს საზოგადოებრივი ჯგუფები გაჩნდა, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო არიან გააქტიურებული. ზოგი „ბავშვთა სამყაროს“ დაწვით დაზარალდა, ზოგმა საფინანსო კომპანია „საქართველოს“ გაკოტრებით დიდი თანხები დაკარგა, მესამე ჯგუფი მოქალაქეებისა რუსთავში ქარხნიდან გაათავისუფლეს, უმუშევრები დარჩნენ და აპროტესტებენ. პლუს ახალგაზრდების ჯგუფები, რომელთა მოქმედებებს ტელევიზიაში შეჭრად აფასებენ. ამას დამატებული გააქტიურებული ნაცმოძრაობა რა მოცემულობას ქმნის?***

– თქვენს კითხვას დავამატებდი, გააქტიურებული მრავალ ნაწილად გაყოფილი ნაცმოძრაობა. აუცილებელია ვისწავლოთ ცივილიზებული ურთიერთობა დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის. ამ ყველაფერში საჭიროა პროფკავშირების მაქსიმალური ჩართულობა, ხელშეკრულებების დონეზე აწყობილი ურთიერთობა, მაგრამ დღეს სხვა მოცემულობა გვაქვს.

ამიტომ ამ ვითარებაში საჭიროა პარლამენტის დეპუტატების მაქსიმალური ჩართულობა, განსაკუთრებით – მაჟორიტარებისა და საკრებულოს დეპუტატების. ხელისუფლება მაქსიმალურად არის ჩართული ამ პროცესების დარეგულირებაში.

საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ერთად უნდა ვეძებოთ გამოსავალი ურთულესი პრობლემებიდან. მართალია, კერძო კომპანიაა, მაგრამ ხელისუფლება ვერ გადგება გვერდზე, როცა ადამიანები პრეტენზიებს აყენებენ. თუ კარგად ჩავუფიქრდებით, საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება.

***– შეგნებულად ხდება ადამიანების სამუშაოდან დათხოვნა გარკვეული კომპანიებიდან, მაგალითად, რუსთავში?***

– ვერ გეტყვით, შეგნებულად ხდება თუ არა. არ ვარ ჩახედული საკითხში, კონკრეტულად, აზოტთან დაკავშირებით რა ხდება. ჯერ სხვა იყო მეპატრონე. შემდეგ ამ კომპანიას შეექმნა პრობლემები. შემდეგ აუქციონზე სხვა კომპანიამ შეიძინა და იქ არის რაღაც სამეწარმეო კაზუსები. დეტალურად არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ ამ პროცესის უკან დგანან ჩვენი მოქალაქეები, მათი ოჯახები. ამიტომ სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული ამაში და, დარწმუნებული ვარ, ჩართულია პრობლემების დარეგულირებისთვის.

# არჩილ თალაკვაძე: „პრეზიდენტს ჩემთან შეხვედრის თხოვნა არ ჰქონია“



– მე არავინ დამკავშირებია, პრეზიდენტს ჩემთან შეხვედრის თხოვნა არ ჰქონია.

ასე უპასუხა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტების შეკითხვას, რა მიზეზით თქვა უარი მმართველმა გუნდმა ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან კონსულტაციების გამართვაზე.

როგორც თალაკვაძემ პრეზიდენტის მრჩევლის, ფიქრია ჩიხრაძის განცხადებაზე კომენტირებისას აღნიშნა, არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ უთხრა პრეზიდენტის ადმინისტრაციას მოსმენების კანონთან დაკავშირებით კონსულტაციებზე უარი.

– არ არსებობს ასეთი ფორმატი, რომ უმრავლესობის წევრი შეხვდეს პრეზიდენტს. პრეზიდენტის ინსტიტუტი არის მაღალი ლეგიტიმაციის მქონე, პრეზიდენტი არის ბევრად უფრო მაღალი, ვიდრე უმრავლესობის ლიდერი. მე არ ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს უნდა შევხვდე და ვესაუბრო ამაზე.

თქვენგან მოვისმინე, რომ ღამით დაურეკეს ფრაქციებს და ფრაქციებმა უარი უთხრეს პრეზიდენტს. ასეთი კომუნიკაციის ფორმა გაუგებარია ჩემთვის. თუ ამაზე იქნება მეტი კომენტარი გასაკეთებელი, გააკეთებენ ფრაქციების წარმომადგენლები, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

# რუსთავში ბუნებრივი აირით 5 ადამიანი მოიწამლა



რუსთავში ბუნებრივი აირის ნამწვით ინტოქსიკაციის 2 შემთხვევა დაფიქსირდა.

მე-6 მიკრორაიონში საცხოვრებელ კორპუსში ბუნებრივი აირის ნამწვით ინტოქსიკაცია 80 წლის მოხუცმა და ორმა შუახნის ქალმა მიიღეს. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ისინი კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

როგორც ინტერპრესნიუსს კლინიკა „რუსთავში“ განუცხადეს, პაციენტების მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა შემდგომი დაკვირვების მიზნით ისინი სტაციონარში რჩებიან.

ბუნებრივი აირის ნამწვით ინტოქსიკაციის მეორე შემთხვევა რუსთავში, რჩეულიშვილის ქუჩაზე 10 თებერვალს დაფიქსირდა.

წინასწარი ინფორმაციით, 4 და 6 წლის მცირეწლოვანი ბავშვები საცხოვრებელ სახლში გაზით მოიწამლნენ. ორივე მათგანი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რუსთავის ცენტრალურ ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც ბავშვთა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ნატო თოფურიამ განაცხადა, 4 წლის ბიჭსა და 6 წლის გოგონას ნამწვით მსუბუქი ინტოქსიკაციის კლინიკური ნიშნები ჰქონდათ. ორივეს დროულად აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და დილით სახლში გაწერეს.

**ინტერპრესნიუსი**

# მამუკა გამყრელიძე: „თავისუფალი სიტყვის დასაცავი აქციები მუდმივად გაგრძელდება“

ნონა ცაბაძე

## ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალ თაობას“ პოლიტიკის ექსპერტი მამუკა გამყრელიძე ესაუბრება.

***– ბატონო მამუკა, თავისუფალი სიტყვის დასაცავად ნაციონალურმა მოძრაობამ და კიდევ რამდენიმე ოპოზიციური პარტიისგან შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ საპროტესტო აქცია გამართეს.***

– დავაზუსტებ – ეს აქცია იყო ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი და სხვა პარტიებთან ერთად ამას ნაციონალური მოძრაობაც შემოუერთდა.

***– რას აპროტესტებთ, ან ვის იცავთ? რა იყო ამ აქციის მიზანი?***

– დღეს მოსამართლეების თემას არ შევეხები, რადგან ამ წუთას გაცილებით მაწუხებს სიტყვის თავისუფლების საკითხი, ტელევიზიების შეკვეცის, კასტრირებისა და წართმევის ხარჯზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! ორი რამე უნდა იყოს აუცილებლად თავისუფალი სახელმწიფოში – ეს არის სასამართლო და ეს არის მედია. სხვანაირად დემოკრატიული სისტემა ვერ იმუშავებს.

***– რა ხდება ასეთი სასამართლო სისტემაში?***

– სასამართლო მთლიანად ხელში აქვთ ჩაგდებული! თითო-ოროლა დამოუკიდებელი და პატიოსანი მოსამართლე დარჩა, დანარჩენები იძულებული არიან, ხელისუფლებას დაემორჩილონ. ამ ფონზე თუ მედიასაც ჩაიგდებენ ბოლომდე ხელში, მაშინ ჩვენ მივიღებთ ისეთ სიტუაციას, როდესაც სამართალს, უბრალოდ, ვერსად იპოვი!

***– დღევანდელ ტექნოლოგიურ პირობებში თავისუფალი სიტყვის ჩახშობა ძალიან რთული იქნება. ასე არ არის?***

– დიახ, საბოლოოდ ვერ ჩაახშობ სიტყვის თავისუფლებას 21-ე საუკუნეში, თუმცა აქ ერთი პრობლემაა – წვდომის ხარისხი მინიმალურია. ვინაიდან საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა და ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდება ყველას, შესაბამისად, ტელევიზიების როლი ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს ტელევიზიებზე ამ ფორმით თავდასხმა სახელმწიფოს დაღუპვას ნიშნავს. არ არის თავისუფალი სიტყვა – არ არის დემოკრატია!

***– ეს აქცია გამაფრთხილებელ ხასიათს ატარებდა?***

– არავითარ შემთხვევაში! ეს აქციები იქნება პერმანენტული, იმის მიხედვით, როგორც მოითხოვს სიტუაცია. გარწმუნებთ, ერთჯერადი აქცია ნამდვილად არ იქნება. შეიკრიბება საკოორდინაციო საბჭო, სადაც 8 პოლიტიკური პარტია და კიდევ რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია გაერთიანდა და ეს კონსულტაციები კვლავაც გაგრძელდება.

***– ეს ყველაფერი მწვავე პროტესტში გადაიზრდება? მომწიფდა სიტუაცია საამისოდ?***

– არა, არ ვფიქრობ, რომ ეს მწვავე პროტესტში გადაიზრდება. რასაც მე ვხედავ, საკმაოდ ჭკვიანურად და გამიზნულად მოქმედებს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება. ბიძინა ივანიშვილია თვითონ ასეთი ჭკვიანი თუ მისი მრჩევლები, არ ვიცი. ეს ადამიანი აკეთებს ერთ მნიშვნელოვან საქმეს – ყველა პატრიოტული, აღმატებული და სუფთა გრძნობა დაჰყავს კუჭამდე და ძალიან დაბალ პარაზიტულ სურვილებამდე. ჩვენ ველარ ვაზროვნებთ გულით, მით უმეტეს, ვერ ვაზროვნებთ თავით, მხოლოდ კუჭზე ვართ დასული! ეს კი კატასტროფული სიტუაციაა.

***– როდემდე ვიქნებით ამ სიტუაციაში?***

– სანამ კიდევ უფრო არ გაღრმავდება პროცესი, სანამ საშუალო ფენას ძალიან არ შეაწუხებს ეს ვითარება, ჯერ კიდევ მოითმენს ამას ხალხი. დაიწყეს ბობოქრობა, არიქა, გვართმევენ ტელევიზიასო, მაგრამ მეორე დღეს უკან იხევენ, იცით, ჩვენ კარგი შეხვედრები გვქონდა, იქნებ რამე გამოვიდეს. აი, ეს „იქნებ“ როგორც კი გაჟღერდება, იქ მთავრდება ყველაფერი!

ამ ხალხმა ვერ შეიგნო, რომ არაფერიც არ იქნება! ახლა ამათთან შერიგება აბსოლუტურად კონტრპროდუქტიულია. ყველაფერს დაკარგავენ, პირველ რიგში კი – დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მხოლოდ დამოუკიდებლობას კი არ დავკარგავთ, დეზინტეგრაციის პროცესი დაიწყება! დაგვიქუცმაცებენ სახელმწიფოს!

***– დამოუკიდებელი მედიის ხელში ჩაგდების პროცესი მიდის?***

– ყოველ შემთხვევაში, იმ მედიისა, რომელსაც საზოგადოების მაქსიმალურ რაოდენობაზე აქვს წვდომა. სწორედ ასეთი მედიის ხელში ჩაგდება ხდება, თორემ წვრილ-წვრილი ტელევიზიებით ჯერ არ დაინტერესებულან.

***– რამდენად გექნებათ მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან, ეს ყველაფერი ხომ ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირდება?***

– არ არის ასე. პირიქით მოხდა, ნაციონალური მოძრაობა შემოუერთდა ჩვენს ინიციატივას. ძნელია, ამაში ვინმე დაარწმუნო, მაგრამ რეალურად ასე იყო. მოდით, რა, მივიღოთ ფაქტად, რომ ნაციონალური მოძრაობა ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიაა და დამთავრდა. დიდი ძალაა და რა ვქნათ, გავებუტოთ?! მე, როგორც ერთი ინდივიდუალური პერსონა, ისე ვარ ამ ორგანიზაციაში შესული, არცერთ ძალას არ წარმოვადგენ. ჩვენ მხოლოდ საზოგადოების ინტერესები გვამოძრავებს. მერე ეს პარტიები რას იზამენ, ეს ჩემი ინტერესების სფეროში არ არის. ჩემი სურვილია, შევინარჩუნოთ სიტყვის თავისუფლება.

***– რა ხდება, დაიხურება საზოგადოებრივ მაუწყებელში ეს გადაცემები?***

– რა თქმა უნდა, დაიხურება. იქ ძალიან მარტივი რაღაც ხდება. იქ იყო ვიღაცის ბიზნესინტერესები და ახლა ცდილობენ, ეს თავიანთკენ გადმორთონ. ეს ამდენმილიონიანი ბიუჯეტი ჰაერში გადიოდა. თუ დახურა ყველაფერი, მაღლაფერიძე შეეცდება, ეს ნაკადები, რომლებიც სადღაც გარეთ მიედინებოდა, გადმორთოს თავისკენ. აი, ეს ხდება. ვიღაცის ბიზნესინტერესებს ეწირება ჩემი სიტყვის თავისუფლება!

***– ოპოზიცია ხომ არ ცდილობს, სიტყვის თავისუფლების დაცვის სახელით საკუთარი ინტერესები გაატაროს?***

– რა თქმა უნდა, ასეთი მცდელობები ყოველთვის იქნება, მაგრამ ჩვენ ამას არ უნდა



მივაქციოთ ყურადღება. უნდა შევძლოთ და გავმიჯნოთ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო თემები. ამ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება კარგავს თავის ძირითად დემოკრატიულ მონაპოვარს – სიტყვის თავისუფლებას!

მოქალაქეებმა საკუთარი თავისუფლება უნდა დაიცვან, პოლიტიზებას კი ყველამ თავი დაანებოს. პოლიტიკური პარტია გახლავთ ინსტრუმენტი საზოგადოების ხელში, რათა უკეთესი ცხოვრების პირობები მიიღოს.

***– ჩვენთან რომ პირიქით არის?***

– ცუდია, თუ არ იცის ხალხმა ეს ყველაფერი. ამ პოლიტიკურ პარტიებსაც ხომ ჩვენ ვაფინანსებთ?! ბიუჯეტიდან ფინანსდებიან პოლიტიკური სუბიექტები, ბიუჯეტი კი საზოგადოებას ეკუთვნის. სამწუხაროდ, საქართველოში დაბალი პოლიტიკური კულტურაა. ხალხს ცოტა უცნაური წარმოდგენები აქვს.

# აკაკი ბობოხიძე: „პორნოგრაფიის ყურების სურვილი თუ გქონდათ, გეთქვათ და გაყურებინებდნენ“



– პორნოგრაფიის ყურების სურვილი თუ გქონდათ, გეთქვათ და გაყურებინებდნენ. თქვენ ხომ იმავეს აგრძელებთ და გაცილებით უფრო მასშტაბურად?!

ასე მიმართა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა აკაკი ბობოხიძემ „ქართული ოცნების“ წევრებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც ფარული მიყურადების თაობაზე საკანონმდებლო პაკეტს განიხილავდნენ.

ბობოხიძის თქმით, ხელისუფლების არგუმენტი, რა ცუდად იქცეოდა ნაციონალური მოძრაობა, სინამდვილეში არგუმენტი არ არის.

– ვინ გითხრათ, რომ რაღაც ნაწილში ცუდად არ ვიქცეოდით?! ლაპარაკი თქვენს არცთუ ისე ჯანსაღ ლოგიკაზეა, რომ წარსულში ჩვენი ცუდად მოქცევების გამო ამართლებთ დღეს თქვენს ცუდად მოქცევას.

კანიბალი ახსენეს და ჩავთვალოთ, რომ კანიბალი ვიყავი, ოღონდ აღარ ვჭამ ადამიანებს, მოვდივარ და ვხედავ, რომ თქვენ იწყებთ დღეს კანიბალიზმს და გეუბნებით, რომ ცუდია. არა, რა კარგი გემო ჰქონიაო, თქვენ ლაპარაკობთ და აგრძელებთ ადამიანების ჭამას.

ზვიად ძიძიგურო, როდესაც შენ 2004 წელს მოხვედი ხელისუფლებაში ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად და შემდეგ ვაჟკაცურად გახვედი, მეგონა, რომ პრინციპების დარღვევის გამო წახვედი, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ პირადი კეთილდღეობა იყო შენი მოტივი. დღეს გატრუნული ზიხარ და ყველა იმ დარღვევას, რომელზეც გველაპარაკებით წარსულში, ხელახლა იმეორებთ.

ჩვენ ძალიან გავაფეტიშეთ სახელმწიფო და სახელმწიფოს წინაშე მისი მოქალაქეები გახდნენ უძლურნი და დაუცველნი.

თქვენ სახელმწიფო ინტერესების გამო კი არ აპირებთ სუსი ამოქმედოთ, არამედ იმ ერთი კაცის სამსახურის გამო, რომელსაც მიაჩნია, რომ „ასავალ-დასავალია“ ეტალონი და ასავალ-დასავალად აქცია დღევანდელი სუსი. ის ჭრის, კერავს, ამონტაჟებს. სუსი გადაიქცა ჭორიკნების ორგანოდ.

ქალბატონმა ინაშვილმა და ბესელიამ ახსენეს, როგორ ვუძვრებოდით თურმე ლოგინში ჩვენს თანაპარტიელებსაც კი.

დიახ, საზიზღრობაა. როდესაც მითხრეს, რომ კაცის კაცთან სექსუალურ კავშირზე დაიდო, არც კი ვნახე, როგორ შეიძლება გული არ აგერიოს, მაგრამ თქვენ რისთვის იბრძოდით, ბატონებო, რომ ეს არ გაკეთებულიყო თუ პორნოგრაფია გეყურებინათ?! თუ პრონოგრაფიის ყურების სურვილი გქონდათ, გეთქვათ და გაყურებინებდნენ. თქვენ ხომ იგივეს აგრძელებთ და გაცილებით უფრო მასშტაბურად?!, – განაცხადა ბობოხიძემ.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება ღიად ამბობდა, რომ მოსმენებს ახორციელებდა და აბუქებდა კიდეც ამას, რომ სიფრთხილე ყოფილიყო, „ქართული ოცნება“ კი გაცილებით მეტს და ფარულად უსმენს, თუმცა არა – ქვეყნის მტრებს.

– რად უნდა რუსეთს მზვერავების გამოგზავნა, როცა მზვერავები ხელისუფლებაში ჰყავს ბიძინა ივანიშვილის სახით – მთავარი ტიპი, რომელიც საქართველოდან ვერ გადის გარკვეული პრობლემების გამო და თავის დაცვად გადააქცია ქართული ჯარი, პოლიცია, უშიშროების სამსახური და მის დაცვაში ჩვენ გვახდევინებს ფულს. ეს არის და მეტი არაფერი, – განაცხადა ბობოხიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ცხინვალმა 3 ქართველი გაათავისუფლა




დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა გორის რაიონში, სოფელ კირბალის განაპირას დაკავებული 3 პირი ქართველ სამართალდამცველებს გადმოსცეს.

ავთანდილ თაყაძე, ლაშა დოთიაშვილი და ჯემალ აბალაკი სოფლის განაპირას ე.წ. მესაზღვრეებმა დააკავეს და ცხინვალის მილიციის იზოლატორში გადაიყვანეს. თავდაპირველად ავთანდილ თაყაძე გაათავისუფლეს, რომლის ახლობლებმაც ე.წ. საჯარიმო თანხა, 2.000 რუსული რუბლი, მალევე გადაიხადეს.

რაც შეეხება ლაშა დოთიაშვილსა და ჯემალ აბალაკს, მათი გათავისუფლება მოგვიანებით მოხდა. გათავისუფლებულების განცხადებით, მათ ე.წ. საზღვარი არ გადაუკვეთიათ.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „უჩა ნანუაშვილის ქმედებები სასამართლოს ავტორიტეტსა და პრესტიჟს ზიანს აყენებს“



თბილისის საქალაქო სასამართლო სახალხო დამცველს სასამართლო სისტემის მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს.

როგორც სასამართლოს განცხადებაშია აღნიშნული, უჩა ნანუაშვილის უკმაყოფილება ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებმა გამოიწვია, რომლებითაც სახალხო დამცველის მიერ გაშვებული ერთ-ერთი თანამშრომელი სასამართლოს ძალით სამსახურში აღდგა.

– შრომით დავაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი უჩა ნანუაშვილის ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველს დაევალა მოსარჩელის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღნიშნულ დავაზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ უჩა ნანუაშვილი მიზანმიმართულად ეწევა სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას. ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაშია უშუალოდ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან, პირადი დაინტერესების მოტივით გაკეთებული განცხადებები ემსახურება სასამართლოს საქმიანი რეპუტაციის შელახვას. სახალხო დამცველის განაწყენებული პოზიცია გამოწვეულია მისი სუბიექტური დამოკიდებულებით საქმის შედეგის მიმართ.

სასამართლო შეახსენებს უჩა ნანუაშვილს, რომ მისი, როგორც სასამართლო დავაში მონაწილე მხარის, საჯარო გამოსვლა და ამ ფორმით სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკა განსაკუთრებით მიუღებელია საქართველოს სახალხო დამცველის სტატუსის გათვალისწინებით.

სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზანმიმართულ მცდელობას, მით უფრო, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ისეთი მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ინსტიტუტის მხრიდან, როგორიც საქართველოს სახალხო დამცველია.

უჩა ნანუაშვილის მოქმედებები ზიანს აყენებს როგორც სასამართლოს ავტორიტეტსა და პრესტიჟს, ასევე სახალხო დამცველის ინსტიტუტს, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

# „მეწარმემ ყველა რისკი თავად უნდა დააზღვიოს“

## „დროა, სახელმწიფოსკენ ხელის გაშვერის პრაქტიკა დავივიწყოთ“




— მოლოდინი იმისა, რომ საზოგადოებას ასეთი ზარალის დროს სახელმწიფო მხსნელად უნდა მოევლინოს, არასწორია.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის დროით“ სავალდებულო სადაზღვევო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში **ლევან კალანდაძემ** განაცხადა.

***— „ბავშვთა სამყაროს“ სავაჭრო ცენტრში გაჩენილმა ხანძარმა ათასამდე მოვაჭრე დააზარალა. ვინ უნდა აანაზღაუროს ეს ზარალი? ძალიან ბევრი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ამ ადამიანებს გვერდში უნდა დაუდგეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს როლი რა შეიძლება იყოს?***

— ეს საკითხები მართლაც რომ ძალიან აქტუალური და სენსიტიურია. სამწუხაროდ, ეს ის თემებია, რომლებიც გარკვეული კატასტროფის ან ერთჯერადი ზარალის დროს აქტიურდება. ხოლო შემდგომ ამ თემებზე საუბარი დროთა განმავლობაში ნელდება. საზოგადოებასაც, მათ შორის მთავრობასაც და ბიზნესსაც ავიწყდება ის, რომ ასეთი თემების მართვის ეფექტიანობა შესაბამის საკანონმდებლო რეგულაციებში სწორი მოდელის შერჩევისას გამოიხატება.

ზოგადად სახელმწიფოს პასუხისმგებლობა რა არის? სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეკონომიკური საქმიანობა და აქტივობა არ არის. მისი პასუხისმგებლობა ისეთი ბიზნესმოდელის შემუშავებაა, რომელიც ბიზნესმენებს საშუალებას მისცემს, მეტ-ნაკლებად დაცულ პირობებში ეკონომიკური საქმიანობა აწარმოონ, ხოლო სასურველი შედეგი მოგების სახით მიიღონ.

თუ ჩვენ კონკრეტულად „ბავშვთა სამყაროს“ თემას განვიხილავთ, ის რისკები, რომლებიც მასთან დაკავშირებით დადგა, ჩვეულებრივი ბიზნესპროცესისთვის დამახასიათებელი თანმდევი რისკებია. ყველა ეკონომიკურ საქმიანობას სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის რისკი ახლავს. ეს რისკები ყოველთვის ბიზნესის პასუხისმგებლობაა.

მოლოდინი იმისა, რომ საზოგადოებას ასეთი ზარალის დროს სახელმწიფო მხსნელად უნდა მოევლინოს, ვფიქრობ, რომ უბრალოდ არასწორია. მეწარმემ ყველა რისკი თავად უნდა დააზღვიოს, მოვიდა დრო, რომ სახელმწიფოსთვის ხელის გაშვერის პრაქტიკა დავივიწყოთ.



***— ამ ყველაფრის გათვალისწინებით უახლოეს პერიოდში ამ მიმართულებით ერთი მხრივ სახელმწიფოს მეტ გააქტიურებას უნდა ველოდოთ თუ არა და მეორე მხრივ, თავად ბიზნესის მეტ დაინტერესებას?***

— მაქვს მოლოდინი რომ 2018 წელს, როგორც მინიმუმ, სავალდებულო დაზღვევის ერთი სახეობა მაინც იქნება შემოღებული. ეს ეხება ავტომფლობელთა მესამე პირებისადმი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. სხვა თემებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორიცაა ხანძარი და სხვა ეკონომიკური საქმიანობის თანმდევი რისკები, ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებ.

გარკვეული თემები ხელისუფლებაში არ განიხილება და არც გამოკვეთილა რაიმე მზაობა, რომ ამ ეტაპზე ხელისუფლება ამ მიმართულებით ფიქრს აპირებს. საზოგადოება უნდა მიეჩვიოს სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობას. სადაზღვევო კულტურის ფორმირება მარტივი არ არის და ამას დრო სჭირდება.

***— რატომ ვერ მოხერხდა აქამდე სავალდებულო დაზღვევის ამოქმედება? რატომ ვერ დგამს სახელმწიფო ამ ნაბიჯს?***

— არის გარკვეული პოლიტიკური შემაკავებელი კავშირი, მოდი ვთქვათ, რომ გარკვეულწილად ეს იქნება რეფორმა, მათ შორის მენტალური რეფორმაც საზოგადოებისთვის. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის შედეგი, რაც შეიძლება ასეთი ტიპის დაზღვევამ მოიტანოს. საბოლოო ჯამში, ზარალის მიღებისას აღმოჩნდება ხოლმე, რომ ნეგატიური ტვირთი ამ ზარალისა უფრო მეტია, ვიდრე დაზღვევაში გადახდილი თანხა. საუბარი იყო ავტომფლობელთა დაზღვევის შესახებ.

საქართველოს ევროპასთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირველი ნაწილის ამოქმედების ვალდებულება 2018 წელს აქვს, მაგრამ ნაბიჯები ჯერ კიდევ არ არის გადადგმული. მსოფლიოში არ დარჩა ქვეყანა, სადაც ავტომფლობელების მესამე პირის პასუხისმგებლობა სავალდებულო არ იყოს. ხელისუფლებას ყოველთვის უჭირს რაციონალურის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება, პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარე.

მთავრობამაც იცის, რომ ეს არის აუცილებელი. მე მაქვს ინფორმაცია, რომ მთავრობა დღეს ავტომფლობელთა დაზღვევაზე მუშაობს, შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი. მგონია, რომ ასე ხელაღებით ქონების რისკის დაზღვევა ძნელი შემოსატანი იქნება, იმიტომ რომ მთელ მსოფლიოში პრაქტიკულად სავალდებულო დაზღვევები არის მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევები და ქონების სავალდებულო დაზღვევა არ ხდება.

ჩვენ მცირე მეწარმეებს პირდაპირ ვერ დავავალდებულებთ, რომ მაგალითად, „ბავშვთა სამყაროში“ ეკონომიკური საქმიანობა დააზღვიონ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ქონების განმკარგველი დავავალდებულოთ, რომ მის კომერციულ ფართში მომუშავე და დასაქმებული ადამიანები უზრუნველყოფილნი იქნან გარკვეული, მინიმალური სოციალური სტანდარტით.

სავალდებულობა მთელ მსოფლიოში არ ეხება მხოლოდ პასუხისმგებლობას, არის გამონაკლისები, მაგალითად, თურქეთში მიწისძვრისგან დაზღვევა არის სავალდებულო.

ასე რომ, თუ გარკვეული ნება იარსებებს, კარგი იქნება, ხელისუფლებამ გაიაზროს სწორად, რომ ის დიდი სოციალური უკმაყოფილება, მაგალითად, რაც „ბავშვთა სამყაროს“ შემთხვევაში გვქონდა მარტივად დარეგულირებადი იქნება.

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე იაფი დაზღვევა დაზღვევის სფეროში. თუ საზოგადოებას სწორად ავუხსნით, რა ეფექტის მატარებელი იქნება სავალდებულო დაზღვევის შემოღება, დარწმუნებული ვარ, ბაზრობები და სავაჭრო ცენტრები იმ მინიმალური თანხის გადახდას არ მოერიდებიან.

**კომერსანტ.გე**

# ხადური: „ნავთობკომპანიების ჯარიმები უპრეცედენტოდ მაღალია“



— ნავთობკომპანიებისთვის დაწესებული ჯარიმები ჩვენი ეკონომიკისთვის უპრეცედენტოდ მაღალია.

ეს განცხადება ბიზნესკონტრაქტის ეთერში კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელმა ნოდარ ხადურმა გააკეთა.

მისი თქმით, აღნიშნული ჯარიმების მოცულობა კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

— კონკურენციის სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება და ჩვენი ეკონომიკისთვის უპრეცედენტოდ მაღალი ჯარიმებია ნომინალში გამოხატული, თუმცა პროცენტულად ეს არაა ძალიან მაღალი და კანონმდებლობის ნორმებში ჯდება. ყველა კომპანიამ, ვინც დაჯარიმებულია, ლოგიკურია, რომ გაასაჩივრა გადაწყვეტილება.

ყველა ჩვენი გადაწყვეტილება ძალაშია, თუმცა სამართლებრივი დავა გრძელდება ჩვენსა და ნავთობპროდუქტებს შორის, — განაცხადა ხადურმა.

შეგახსენებთ, რომ კონკურენციის სააგენტომ სხვადასხვა კომპანიებს, მათ შორის ვისოლს, სოკარს, რომპეტროლს, გალფს, ლუკოილსა და კიდევ 30-ზე მეტ ნავთობკომპანიას, ჯამში, 55 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

**ბიზნესკონტრაქტი**

# „ინფლაციის ზრდა შეიძლება იყოს ცოტა უფრო მაღალი, ვიდრე ველოდით“



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის განცხადებით, შეიძლება, ინფლაციაზე გარეგანი ერთჯერადი ფაქტორები მოქმედებდეს და ამიტომ გადამეტებულმა რეაქციამ მომავალში უფრო ცუდი შედეგი გამოიწვიოს.

ამის შესახებ მთავარმა ბანკირმა ბიზნესკონტრაქტს იანვარში დაფიქსირებული წლიური 3.9%-იანი ინფლაციისა და სებ-ის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 6.75%-მდე გამკაცრების კომენტირებისას განუცხადა.

— ინფლაციის ზრდას ველოდით, მაგრამ ეს შეიძლება იყოს ცოტა უფრო მაღალი, ვიდრე მოლოდინი გვქონდა, თუმცა ძირითადი სურათი არ შეცვლილა, — აღნიშნა კობა გვენეტაძემ და დასძინა, რომ ინფლაციაზე ძირითადად ერთჯერადი ფაქტორები — აქციზის ზრდა და სავალუტო რყევები მოქმედებენ.

— 25 იანვარს გამართული მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომის შემდეგაც ვთქვით, რომ ინფლაციაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების გამო, 2017 წლის განმავლობაში ინფლაცია მიზნობრივზე მაღლა იქნება, მაგრამ, ამავე დროს, სხვა თანაბარ პირობებში, 2018 წელს ინფლაცია უნდა შემცირდეს და მიზნობრივთან ახლოს უნდა იყოს. ვფიქრობ, უფრო მის ქვემოთ უნდა შენარჩუნდეს და 2018 წელს ეს არის 3%.

მიზნობრივ მაჩვენებელს რაც შეეხება, ეს არის მაჩვენებელი, რომელიც არის ოპტიმალური ეკონომიკისთვის და ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, რაც საქართველოში მოქმედებს, განაპირობებს სწორედ იმას, რომ ინფლაცია შეიძლება იყოს ამ მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა ან დაბლა და ზუსტად ის პოლიტიკა რომელიც სებ-ს აქვს, არის განსაზღვრული იმისთვის, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე იყოს შენარჩუნებული.

აქედან გამომდინარე, ჩვენ განვაცხადეთ კიდეც, რომ 2017 წლის განმავლობაში ვაპირებთ, მონეტარული პოლიტიკა ზომიერად გავამკაცროთ, — განმარტა კობა გვენეტაძემ.

ბიზნესკონტრაქტის კითხვას, იანვარში ინფლაციის 3.9%-მდე ზრდის მთავარი მიზეზი არის თუ არა მთავრობის მიერ აქციზის განაკვეთის ზრდის გავლენა სამომხმარებლო ფასებზე, მთავარმა ბანკირმა ასე უპასუხა:

— ამის სრული იდენტიფიცირება შეუძლებელია.

საქსტატის მონაცემებით, იანვარში ფასები წლიურად 3.9%-ით გაიზარდა. 2017 წელს კი მიზნობრივი წლიური ინფლაცია 4%-ით არის განსაზღვრული.

**თელარა გელანტია,**
**ბიზნესკონტრაქტი**

# ქართული წარმოების უნაკერო მილები ევროკავშირის ბაზარზე გავიდა



რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, ევროკავშირის საერთაშორისო ბაზარზე უნაკერო მილები საკუთარი ბრენდით გაიტანა.

ქვეყნები, სადაც უნაკერო მილები ექსპორტზე გავა, არის იტალია, გერმანია, პოლონეთი, ბულგარეთი და უნგრეთი.

პირველი შეკვეთის მოცულობა 2000 ტონას შეადგენს.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე უნაკერო მილების ექსპორტი ხორციელდება აზერბაიჯანის, ყაზახეთის და უკვე ევროკავშირის ბაზრებზე.

2017 წელს დაგეგმილია 25.000 ტონის რეალიზება და ასევე საკუთარი ბრენდით, უნაკერო მილების ექსპორტი ამერიკისა და რუსეთის ბაზრებზე.

აღნიშნული მილები გამოიყენება მაგისტრალური მილსადენების მშენებლობისთვის, თხევადი და აირადი ნივთიერებების დიდ მანძილზე ტრანსპორტირებისთვის, ასევე გაზისა და ნავთობის ჭაბურღილების ექსპლუატაციის, მანქანათმშენებლობისა და ზოგადტექნიკური მიზნებისთვის.

**ბიზნესკონტრაქტი**

# ქართული ღვინოები იტალიურ ბარ-რესტორნებში ჰიტად იქცა

## იტალიაში ქართული ღვინის ცნობადობა იზრდება

იტალიაში ბოლო დროს ქართული ღვინის ცნობადობა ძალიან გაიზარდა და ეს მეტწილად ქართველი ნატურალისტი მეღვინეების დამსახურებაა. ბიოღვინის მწარმოებელმა ქართველმა მეღვინეებმა, როგორც იქნა, გაჭრეს იტალიის ღვინის ბაზრის გზა და ეს მთლიანად ქართულ მეღვინეობაზე დადებითად აისახა.

იტალიის დედაქალაქ რომის ღვინის მაღაზიებსა და ღვინის ბარებში ოლვაინ-გე-ს მიერ ჩატარებულმა მცირე კვლევამ აჩვენა, რომ იტალიელმა ღვინის რეალიზატორებმაც და მომხმარებლებმაც, ასე თუ ისე, იციან ჩვენი ღვინის შესახებ და აფასებენ კიდეც.

იტალიის ღვინის მაღაზიების მეპატრონეები ამბობენ, რომ დაახლოებით 10 წლის წინ ქართული ღვინის შესახებ არაფერი სმენოდათ. ამ ბოლო დროს კი მათ უკვე იციან, რომ რქაწითელი მთავარი ქართული ვაზის ჯიშია.

ღვინის ბარ „სან რომანოს“ მფლობელი, ვენდიან ლეკკი ამბობს, რომ მისი ბოლო წლების აღმოჩენა საფერავია და გადაწყვეტილი აქვს, მიმდინარე წელს საქართველოში ჩამოვიდეს, რათა მაღაზიაში გასაყიდად საუკეთესო საფერავები შეარჩიოს.

ღვინის მაღაზია „რომანიაში“ ორი ქართული ღვინის მწარმოებელი დიდი კომპანიის 4 ღვინის ნიმუში აქვთ გასაყიდად გამოტანილი და მაღაზიის მფლობელები ამბობენ, რომ 2014 წლის მოსავლის რქაწითელი-მწვანე კახურის კუპაჟური ღვინო მათი ბარის ერთ-ერთი ჰიტი ღვინოა. ამ ერთ ბოთლ ღვინოს 38 ევროდ ყიდიან, ერთი ჭიქის დალევა კი 8.5 ევროდ არის შესაძლებელი.

**პიეტრო მესინი, რომში მდებარე ღვინის მაღაზია „რომანიას“ თანამფლობელი:**

— ქართულ ღვინოს დიდ პატივს ვცემ, რადგან ის არაფერს ჰგავს და სრულიად განსხვავებული გემო და სურნელი აქვს. ბოლო წლებში იტალიაში ბევრი ადამიანი ინტერესდება განსხვავებული ღვინოებით და ამ მხრივ ქართული ღვინო ნამდვილად საუკეთესო შეთავაზებაა. ძალიან გვინდა, ჩვენს მაღაზიაში ქართული ღვინის არჩევანი და ასორტიმენტი კიდევ უფრო მეტად გავზარდოთ.

ქართული ღვინის შესახებ ასევე იციან ფლორენციასა და ნეაპოლშიც.

ფლორენციაში მდებარე რუსული რესტორანი „მატრიოშკა“ კლიენტებს რქაწითელის ღვინოს საერთოდ ლანჩ-მენიუსთან ერთად სთავაზობს. ამ მენიუს ფასი 42 ევროა და, როგორც რესტორნის მენეჯერმა გვითხრა, საკმაოდ მოთხოვნადიც არის.



იტალიის რამდენიმე რესტორნის მენიუში ქართული კერძებიც არის შეტანილი.

**ოლვაინ.გე**

# აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ ტრამპის სარჩელი უარყო

კალიფორნიის სასამართლომ ძალაში დატოვა დადგენილება, რომელიც ტრამპის ბრძანებულების შეჩერებას ითვალისწინებს.

როგორც ცნობილია, ტრამპმა 7 მუსლიმანური ქვეყნის მოქალაქეებს აშშ-ში ჩასვლა აუკრძალა. სასამართლომ პრეზიდენტის ხსენებული განკარგულება შეაჩერა. ტრამპი ამას არ შეეგუა და სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა.

კალიფორნიის სასამართლომ ტრამპის სარჩელი უარყო და მისი განკარგულების შეჩერება კანონიერად ცნო.

პრეზიდენტი აშკარად უკმაყოფილო იყო. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა:

– ამას ასე არ დავტოვებ! კალიფორნიელ ვაიმოსამართლეებს ვეუბნები, რომ ერთმანეთს სასამართლოში შევხვდებით. ამერიკის უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნა!

ტრამპს მხედველობაში აქვს აშშ-ის უმაღლესი სასამართლო, სადაც, როგორც მან ადრევე აღნიშნა, საქმე უნდა შეიტანოს.

# დონბასში რუსული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს



დონბასში ბრძოლები გრძელდება. მარიუპოლთან რუსმა ოკუპანტებმა უკრაინელებს ტანკებიდან ცეცხლი გაუხსნეს. უკრაინელებმა საპასუხო ცეცხლი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებიდან გახსნეს. რუსებმა ზარალი განიცადეს და უკან დაიხიეს.

ჩამოგდებულია უპილოტო თვითმფრინავი, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა.

# მაიკ პომპეო თურქეთში ჩავიდა



ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ახალი დირექტორი მაიკ პომპეო თურქეთს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა.

ის შეხვდა და ესაუბრა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს, აგრეთვე თურქეთის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს.

საუბრის ძირითადი თემა ტერორიზმის წინააღმდეგ თურქეთ-აშშ-ის ერთობლივი ბრძოლა იყო. განხილულ იქნა ერთობლივი მოქმედების გეგმა რაქას გასათავისუფლებლად, რომელიც ისლამურმა სახელმწიფომ თავის დედაქალაქად გამოაცხადა.

– ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თურქეთ-აშშ-ის თანამშრომლობა აღდგება, – განაცხადა რეჯებ ერდოღანმა.

# სირია: რუსებმა თურქების პოზიციები დაბომბეს



სირიაში რუსმა ჯარისკაცებმა თურქი სამხედროების პოზიციები დაბომბეს. შედეგად დაიღუპა 5 თურქი ჯარისკაცი, 11 დაიჭრა. თურქებმა თავიანთი ჯარისკაცების სიკვდილში რუსეთი დაადანაშაულეს.

მომხდარის შემდეგ პუტინ-ერდოღანის სატელეფონო საუბარი შედგა.

რუსეთის პრეზიდენტმა თავის თურქ კოლეგას განუცხადა, რომ მოხდა საბედისწერო შეცდომა. პუტინმა როგორც თურქეთის პრეზიდენტს, ასევე დაღუპული ჯარისკაცების ახლობლებს თანაგრძნობა გამოუცხადა.

პუტინი და ერდოღანი შეთანხმდნენ, რომ შეიქმნება ერთობლივი კომისია, რომელიც მომხდარი ტრაგედიის მიზეზებს გამოიძიებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# მონპელიეში შესაძლო ტერაქტი აღიკვეთა



საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში პოლიციამ შესაძლო ტერაქტი აღკვეთა და 4 ეჭვმიტანილი დააკავა.

დაკავებულების ვინაობა ცნობილი არ არის. სავარაუდოდ, ისინი ტერაქტის მოწყობას პარიზშიც აპირებდნენ.

პოლიციამ ამ პიროვნებებზე წინასწარ მოიძია ინფორმაცია. მისთვის ცნობილი გახდა, რომ ტერაქტის შესაძლო მომწყობებმა დიდი ოდენობით აცეტონი შეიძინეს, რომლითაც ასაფეთქებელი მოწყობილობები მზადდება.

დაკავებულები ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ.

ბოლო პერიოდში საფრანგეთში ძალიან გახშირდა ტერაქტები, რომელთაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ყველაზე გახმაურებული ტერაქტი 2015 წლის 13 ნოემბერს მოხდა პარიზში, 15 ივლისს კი ნიცაში ტერორისტმა ხალხს სატვირთო მანქანით გადაუარა, რის შემდეგაც 84 ადამიანი დაიღუპა და 64 დაშავდა.

ამ ტერაქტების შემდეგ საფრანგეთში უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია.

# ბაშარ ალ-ასადი: „ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს არ გამოვრიცხავ“



სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა იაჰუ ნიუსს ინტერვიუ მისცა, სადაც მან ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა.

ალ-ასადმა განაცხადა, რომ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს არ გამორიცხავს სირიაში, თუ ეს ხალხის ნება იქნება.

– მე მაშინვე დავტოვებ ჩემს თანამდებობას, თუ სირიელ ხალხს აღარ მოუნდება ჩემი პრეზიდენტად ხილვა. მე მზად ვარ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, თუმცა ვთვლი, რომ ამაზე საუბარი ნაადრევია.

ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ ტერორიზმის წინააღმდეგ და, ამავდროულად, სირიის მომავალზეც ვიფიქროთ. მე ყოველთვის ჩემი ხალხის სამსახურში ვიქნები, – განაცხადა სირიის პრეზიდენტმა.

ალ-ასადმა ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სირიის მომავალია.

# ფილიპინებზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა



ფილიპინებზე 6,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

სტიქიის ეპიცენტრი ქალაქ ტაისაიდან 2 კილომეტრის დაშორებით დაფიქსირდა.

მიწისძვრის შედეგად რამდენიმე დასახლებულ რეგიონს დიდი ზარალი მიადგა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

# ვიდეოს გადასაღებად ზვიგენის ნაპირზე ამოყვანისთვის ტურისტები ჯარიმას გადაიხდიან



ბრაზილიაში ტურისტები, რომლებმაც პატარა ზვიგენი წყლიდან ნაპირზე იმისთვის ამოიყვანეს, რომ ვიდეო გადაეღოთ, 6,2 ათასზე მეტი დოლარის ოდენობის ჯარიმას გადაიხდიან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურისტების კომპანიამ თევზი ოკეანიდან ნაპირზე ამოიყვანა, იმის მიუხედავად, რომ პერნაბუკუს შტატის ფერნანდუ-დი-ნორონიას სანაპიროზე განთავსებულია ნიშნები, რომლების მიხედვითაც აკრძალულია ცხოველების მოკვლა, დაჭერა, შეწუხება ან გამოკვება. ვიდეორგოლი, რომელშიც 35 წლის ქალს, რომლის ვინაობა მითითებული არ არის, ხელში უჭირავს პატარა ზვიგენი, ვიდეოს კი მისი მეგობარი მამაკაცი იღებს.

შედეგად თითოეულ მათგანს ჯარიმის სახით 3,1 ათასზე მეტი დოლარის გადახდა მოუწევს ცხოველებთან სასტიკი მოპყრობის გამო. სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოქვეყნებულმა ვიდეორგოლმა ინტერნეტმომხმარებელთა შორის ნეგატიური კრიტიკის ტალღა გამოიწვია. მათმა უმრავლესობამ იმედი გამოთქვა, რომ ტურისტები მომხდარისგან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.

# ბრაზილიელმა, ბარბის რომ დამსგავსებოდა, 100 ათასი დოლარი დახარჯა



ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს მცხოვრებმა გოგონამ დაახლოებით 100 ათასი დოლარი დახარჯა სხვადასხვა პლასტიკურ ოპერაციაზე, რათა ცნობილ თოჯინა ბარბის დამსგავსებოდა.

ჯენიფერ პამპლონამ, რომელიც მოდელად მუშაობდა, ათეულობით ქირურგიული ოპერაცია და კოსმეტიკური პროცედურები გადაიტანა. აღსანიშნავია, რომ გოგონას ამისკენ მისმა დაღუპულმა მეგობარმა მამაკაცმა უბიძგა, რომელიც პლასტიკის თაყვანისმცემელი იყო.

– მისი გარდაცვალების შემდეგ სწორედ პლასტიკურმა ქირურგიამ გამომიყვანა დეპრესიიდან, – განაცხადა ბრაზილიელმა გოგონამ.

მას შემდეგ, რაც ჯენიფერს ერთ-ერთი ამერიკული სატელევიზიო შოუს ეთერში პროცედურის ჩატარება შესთავაზეს, მან გაიდიდა მკერდი, დუნდულები, გაიკეთა რინოპლასტიკა, ლიპოსაქცია და ა.შ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახლა უკვე 24 წლის პამპლონას ძლივს ცნობენ საკუთარი მშობლები.

მიუხედავად ოჯახის რამდენიმე წევრის ნეგატიური შეფასებისა, გოგონა ქირურგიული ოპერაციების გაგრძელებას აპირებს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ჩინელმა განქორწინების შემდეგ ოჯახი სექსთოჯინებთან შექმნა



ჩინეთის პროვინცია გუიჩჟოუში მცხოვრები მამაკაცი სექსთოჯინებთან ერთად ცხოვრობს. 2004 წელს ლი ჩენი მეუღლეს გაშორდა და შვილის აღზრდის საქმე საკუთარ თავზე აიღო. პირველი სექსთოჯინა მან 10 წლის შემდეგ იყიდა, რათა მისი დახმარებით მარტოობას გამკლავებოდა, რაც შვილის სკოლაში სწავლით იყო გამოწვეული.

სამი წლის განმავლობაში ჩინელმა თოჯინების ჩასაცმელებსა და აქსესუარებზე 14,4 ათას დოლარზე მეტი დახარჯა. აღსანიშნავია, რომ 58 წლის მამაკაცი თავის სათამაშოებს სექსისთვის არ იყენებს. ის მათ უვლის და ალამაზებს. გავრცელებული ინფორმაციით, ლი ჩენი თოჯინებს საკუთარ ქალიშვილებად აღიქვამს. ის ასევე მათთვის ზეიმებს მართავს და მუსიკალურ ვიდეოებს იღებს.

აღსანიშნავია, რომ ხუთი თოჯინა, რომელთაგან ერთი ჩენმა თავის შვილს დაბადების დღეზე აჩუქა, როდესაც მას 18 წელი შეუსრულდა, მან თავად შეიძინა, კიდევ ორი თოჯინა მეგობრებისგან ერგო, რომლებიც დაოჯახდნენ და იძულებულნი გახდნენ, უარი ეთქვათ სილიკონის მეგობრებზე.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ევროპაში შედარებით მშვიდი უქმეებია

## სტატისტიკა, ფსონები

მომავალ უქმეებზე „მშვიდი" ტური ევროპაში. უფრო კონკრეტულად, რამე გამორჩეული ზეთამაში არ არის, თორემ დასამშვიდებლად ვის სცალია. პირიქით, ჩემპიონატები უკვე თავდაღმართშია და ყველა გუნდს ქულები სჭირდება. თუმცა, არის 2 მატჩი, რომელთა მეტ-ნაკლებად გამორჩევა შეიძლება: ინგლისში ასეთი ლივერპული-ტოტენჰემია, ხოლო იტალიაში – ლაციო-მილანი. ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ერთმანეთში იბრძვიან.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.02 არსენალი-ჰალი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 11.02 სტოკი-კრ.პალასი | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 11.02 სანდერლენდი-საუთჰემპტონი | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 11.02 მიდლსბრო-ევერტონი | 3.8 | 3.25 | 2.05 |
| 11.02 მანჩესტერი-უოტფორდი | 1.25 | 5.5 | 13.0 |
| 11.02 ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 11.02 ლივერპული-ტოტენჰემი | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 12.02 ბარნლი-ჩელსი | 9.0 | 4.6 | 1.4 |
| 12.02 სუონსი-ლესტერი | 2.5 | 3.4 | 2.9 |
| 13.02 ბორნმუთი-სიტი | 7.0 | 4.5 | 1.44 |

**არსენალი-ჰალი**

არსენალი: ***ტრავმ***-აარონ რამზი, სანტი კაზორლა

ჰალი: ***ტრავმ***-რაიან მაისონი, კურტის დევისი, ბრიან ლენიანი, მარკუს ჰენრიკსენი, უილიამ კინი

**სტოკი-კრ.პალასი**

სტოკი: ***ტრავმ***-ჯეფ კამერონი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ბაქარი საკო, კრისტიან ბენტეკე, კონორ უიკჰემი, სტივ მანდადა, პაპე სუარე

**სანდერლენდი-საუთჰემპტონი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ვიქტორ ანიშებე, ჯორდან პიკფორდი, დანკან უიტმორი, პედი მაკნაირი, ლი კატერმოლი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ვირჯილ ვან დიიკი, ჩარლი აუსტინი, მატ ტარგეტი

**მიდლსბრო-ევერტონი**

მიდლსბრო: ***ტრავმ***-ჯორჯ ფრენდი

ევერტონი: ***ტრავმ***-დონიმიკ კალვერ-ლევინი, იანიკ ბოლასიე, მუჰამედ ბესიჩი

**მანჩესტერი-უოტფორდი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-არავინ

უოტფორდი: ***ტრავმ***-კოსტელ პანტილიმონი, კრისტიან კაბასელე, ნორდინ ამბარატი, რობერტო პერეირა

**ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ანჯელო ოგბონა, ალვარო არბელოა

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ბრენდან გალოვეი, ჯონი ევანსი

**ლივერპული-ტოტენჰემი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ოვიე ეჯარია, მარკო გრუჯიჩი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-კევინ ნკუდუ, დანი როუზი, იან ვერტოგენი

**ბარნლი-ჩელსი**

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივ დეფო, დეან მარნი

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

**სუონსი-ლესტერი**

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

**ბორნმუთი-სიტი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-არავინ

სიტი: ***ტრავმ***-ილკაი გუნდოგანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 24 | 19 | 2 | 3 | 51-17 | 59 |
| 2.ტოტენჰემი | 24 | 14 | 8 | 2 | 46-16 | 50 |
| 3.სიტი | 24 | 15 | 4 | 5 | 49-29 | 49 |
| 4.არსენალი | 24 | 14 | 5 | 5 | 52-28 | 47 |
| 5.ლივერპული | 24 | 13 | 7 | 4 | 52-30 | 46 |
| 6.მანჩესტერი | 24 | 12 | 9 | 3 | 36-21 | 45 |
| 7.ევერტონი | 24 | 11 | 7 | 6 | 40-27 | 40 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 10 | 6 | 8 | 32-29 | 36 |
| 9.ვესტ ჰემი | 24 | 9 | 4 | 11 | 32-41 | 31 |
| 10.უოტფორდი | 24 | 8 | 6 | 10 | 29-40 | 30 |
| 11.სტოკი | 24 | 7 | 8 | 9 | 29-36 | 29 |
| 12.ბარნლი | 24 | 9 | 2 | 13 | 26-35 | 29 |
| 13.საუთჰემპტონი | 24 | 7 | 6 | 11 | 24-31 | 27 |
| 14.ბორნმუთი | 24 | 7 | 5 | 12 | 35-47 | 26 |
| 15.მიდლსბრო | 24 | 4 | 9 | 11 | 19-27 | 21 |
| 16.ლესტერი | 24 | 5 | 6 | 13 | 24-41 | 21 |
| 17.სუონსი | 24 | 6 | 3 | 15 | 29-54 | 21 |
| 18.ჰალი | 24 | 5 | 5 | 14 | 22-47 | 20 |
| 19.კრ.პალასი | 24 | 5 | 4 | 15 | 32-45 | 19 |
| 20.სანდერლენდი | 24 | 5 | 4 | 15 | 24-42 | 19 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.02 ბეტისი-ვალენსია | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 11.02 ალავესი-ბარსელონა | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 11.02 ბილბაო-დეპორტივო | 1.61 | 3.8 | 5.5 |
| 11.02 ოსასუნა-რეალი | 13.0 | 6.0 | 1.22 |
| 12.02 ვილიარეალი-მალაგა | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 12.02 ლეგანესი-ხიხონი | 1.83 | 3.3 | 4.75 |
| 12.02 ლას პალმასი-სევილია | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 12.02 ატლეტიკო-სელტა | 1.36 | 4.6 | 9.0 |
| 13.02 ეიბარი-გრანადა | 1.6 | 4.0 | 5.5 |

**ბეტისი-ვალენსია**

ბეტისი: ***ტრავმ***-ალვარო გეჯუდო, კრისტიანო პიცინი, რიან დონკი, დარკა ბრაშანაჩი, ხიაკონი, ხოსე კარლოსი, ანტონიო სანაბრია, ფელიპე გუტიერესი

ვალენსია: ***ტრავმ***-ენცო პერესი, როდრიგო მორენო

**ალავესი-ბარსელონა**

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ

ბარსელონა: ***ტრავმ***-სერხიო ბუსკეტსი

**ბილბაო-დეპორტივო**

ბილბაო: ***ტრავმ***-გორკა ელუსტუნდო, საბინი, კეპა არიზაბალაგა

დეპორტივო: ***ტრავმ***-არავინ

**ოსასუნა-რეალი**

ოსასუნა: ***ტრავმ***-ნაუზეტი, მიგელ ფლანო, დიდიე დიუგარი, ხავიერ ფლანო

რეალი: ***ტრავმ***-ლუკა მოდრიჩი, დანიელ კარვახალი, გარეთ ბეილი

**ვილიარეალი-მალაგა**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ნიკოლა სანსონე, მეტო მუკაჩიო, რობერტო სოლდადო

მალაგა: ***ტრავმ***-რეკიო, ლუის მუნიოსი, სანდრო რამირესი, ფედერიკო რიკა, ზდრავკო კუზმანოვიჩი, ველინგტონი

**ლეგანესი-ხიხონი**

ლეგანესი: ***ტრავმ***-დვიდ ტიმორი, ომარ რამოსი, ჯონ სერანტესი, რობერტ იბანესი, კონე

ხიხონი: ***ტრავმ***-სილვიან ბაბინი, დუგლას პერეირა

**ლას პალმასი-სევილია**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-არავინ

სევილია: ***ტრავმ***-კარლოს ფერნანდესი, ბენუა ტრენულანისი, მაიკლ კრონ-დელი

**ატლეტიკო-სელტა**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ხოსე ხიმენესი, იან ობლაკი, ტიაგო, აუგუსტინ ფერნანდესი

სელტა: ***ტრავმ***-რუბენ ბლანკო

**ეიბარი-გრანადა**

ეიბარი: ***ტრავმ***-ანტონიო ლუნა, ასიერი რიესგო, დავიდ იუნკა, კიკე

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 19 | 14 | 4 | 1 | 51-17 | 46 |
| 2.ბარსელონა | 21 | 13 | 6 | 2 | 55-18 | 45 |
| 3.სევილია | 21 | 13 | 4 | 4 | 43-28 | 43 |
| 4.ატლეტიკო | 21 | 11 | 6 | 4 | 36-16 | 39 |
| 5.სოსიედადი | 21 | 12 | 2 | 7 | 34-30 | 38 |
| 6.ვილიარეალი | 21 | 9 | 8 | 4 | 28-14 | 35 |
| 7.ეიბარი | 21 | 9 | 5 | 7 | 32-29 | 32 |
| 8.ესპანიოლი | 21 | 8 | 8 | 5 | 29-27 | 32 |
| 9.ბილბაო | 21 | 9 | 5 | 7 | 26-25 | 32 |
| 10.სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 31-33 | 30 |
| 11.ლას პალმასი | 21 | 7 | 7 | 7 | 31-32 | 28 |
| 12.ალავესი | 21 | 6 | 9 | 6 | 21-22 | 27 |
| 13.ბეტისი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-31 | 23 |
| 14.მალაგა | 21 | 5 | 7 | 9 | 28-35 | 22 |
| 15.დეპორტივო | 20 | 4 | 7 | 9 | 25-32 | 19 |
| 16.ვალენსია | 20 | 5 | 4 | 11 | 29-40 | 19 |
| 17.ლეგანესი | 21 | 4 | 6 | 11 | 15-35 | 18 |
| 18.ხიხონი | 21 | 3 | 4 | 14 | 22-43 | 13 |
| 19.გრანადა | 21 | 2 | 7 | 12 | 17-44 | 13 |
| 20.ოსასუნა | 21 | 1 | 7 | 13 | 23-46 | 10 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.02 ვერდერი-გლადბახი | 2.87 | 3.6 | 2.3 |
| 11.02 ლაიპციგი-ჰამბურგი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 11.02 ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 11.02 დარმშტადტი-დორტმუნდი | 8.0 | 5.0 | 1.33 |
| 11.02 ინგოლშტადტი-ბაიერნი | 9.0 | 4.6 | 1.33 |
| 11.02 შალკე-ჰერტა | 1.85 | 3.5 | 4.75 |
| 12.02 ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 12.02 ფრაიბურგი-კიოლნი | 2.75 | 3.2 | 2.6 |

**ვერდერი-გლადბახი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ნიკლას მოისანდერი, ფილიპ ბაგფრაიდი, იზეტ ჰაიროვიჩი, ფლორიან გრილიჩი, სამბუ იატარაბე

გლადბახი: ***ტრავმ***-ტობიას სტრობი, ნიკო ელვედი, ნიკო შულცი, იბრაჰიმა ტრაორე

**ლაიპციგი-ჰამბურგი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-მარსელ საბიცერი, დიეგო დემე, ტიმო ვერნერი, ემილ ფორსბერგი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-აშტონ გოტცი, მაიკლ გრეგორიჩი, პიერ ლასოგა

**ლევერკუზენი-აინტრახტი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ხავიერ ერნანდესი, ლარს ბენდერი, ალექსანდარ დრაგოვიჩი

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკო ფაბიანი, შაბოლც ჰუსტი, გილერმო ვარელა

**დარმშტადტი-დორტმუნდი**

დარმშტადტი: ***ტრავმ***-დენის ოლინიკი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი, ნური შაჰინი

**ინგოლშტადტი-ბაიერნი**

ინგოლშტადტი: ***ტრავმ***-მორის ჰარტმანი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჯოშუა კიმიხი, ფრანკ რიბერი, ჟერომ ბოატენგი

**შალკე-ჰერტა**

შალკე: ***ტრავმ***-ჯუნიორ კაისარა, ბაბა რაჰმანი, ფრანკო დი სანტო, ბრელ ემბოლო

ჰერტა: ***ტრავმ***-მარვინ პლატენჰარდი, სინან კურტი, ალანი, მიშელ ვეიზერი

**ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ჯუსტინ მობიუსი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ჯერემი ტოლიანი, ლუკას რუპი

**ფრაიბურგი-კიოლნი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-პასკალ შტენცელი

კიოლნი: ***ტრავმ***-მატიას ლემანი, მარსელ რიისე, ტიმო ჰორნი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 19 | 14 | 4 | 1 | 43-12 | 46 |
| 2.ლაიპციგი | 19 | 13 | 3 | 3 | 36-17 | 42 |
| 3.აინტრახტი | 19 | 10 | 5 | 4 | 25-15 | 35 |
| 4.დორტმუნდი | 19 | 9 | 7 | 3 | 39-21 | 34 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 19 | 8 | 10 | 1 | 35-19 | 34 |
| 6.ჰერტა | 19 | 10 | 3 | 6 | 27-21 | 33 |
| 7.კიოლნი | 19 | 8 | 8 | 3 | 28-16 | 32 |
| 8.ფრაიბურგი | 19 | 8 | 2 | 9 | 24-33 | 26 |
| 9.ლევერკუზენი | 19 | 7 | 3 | 9 | 28-29 | 24 |
| 10.აუგსბურგი | 19 | 6 | 6 | 7 | 18-22 | 24 |
| 11.გლადბახი | 19 | 6 | 5 | 8 | 21-27 | 23 |
| 12.შალკე | 19 | 6 | 4 | 9 | 22-21 | 22 |
| 13.მაინცი | 19 | 6 | 4 | 9 | 27-35 | 22 |
| 14.ვოლფსბურგი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-27 | 19 |
| 15.ვერდერი | 19 | 4 | 4 | 11 | 24-41 | 16 |
| 16.ჰამბურგი | 19 | 4 | 4 | 11 | 16-35 | 16 |
| 17.ინგოლშტადტი | 19 | 4 | 3 | 12 | 17-30 | 15 |
| 18.დარმშტადტი | 19 | 2 | 3 | 14 | 12-38 | 9 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.02 ფიორენტინა-უდინეზე | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 12.02 კროტონე-რომა | 8.5 | 5.0 | 1.35 |
| 12.02 ტორინო-პესკარა | 1.36 | 4.75 | 8.5 |
| 12.02 სასუოლო-კიევო | 1.95 | 3.5 | 4.2 |
| 12.02 ინტერი-ემპოლი | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 12.02 პალერმო-ატალანტა | 4.5 | 3.5 | 1.8 |
| 12.02 სამპდორია-ბოლონია | 1.95 | 3.5 | 3.8 |
| 12.02 კალიარი-იუვენტუსი | 8.5 | 4.75 | 1.36 |
| 13.02 ლაციო-მილანი | 1.75 | 3.75 | 4.5 |

**ფიორენტინა-უდინეზე**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ნიკოლა კალინიჩი, ჩიპრიან ტატარუსანუ, გობსალო როდრიგესი

უდინეზე: ***ტრავმ***-ლუკას ევანგელისტა, დავიდე ფარაონი, ემანუელ ბადუ

**კროტონე-რომა**

კროტონე: ***ტრავმ***-მარკუს როდენი

რომა: ***ტრავმ***-დიეგო პეროტი, ხუანი, ალესანდრო ფლორენცი

**ტორინო-პესკარა**

ტორინო: ***ტრავმ***-დავიდე ზაპაკოსტა, კრისტიან მოლინარო

პესკარა: ***ტრავმ***-მიკელე ფორსანიერი, უგო კამპანარო

**სასუოლო-კიევო**

სასუოლო: ***ტრავმ***-პოლ ლიროლა, სიმონე მისიროლი, ფრანჩესკო მანანელი, დავიდე ბიონდინი

კიევო: ***ტრავმ***-არავინ

**ინტერი-ემპოლი**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

ემპოლი: ***ტრავმ***-ფედერიკო ბარბა

**პალერმო-ატალანტა**

პალერმო: ***ტრავმ***-სლობოდან რაიკოვიჩი

ატალანტა: ***ტრავმ***-აბდულაიე კონკო, ბაქარი დრამე

**სამპდორია-ბოლონია**

სამპდორია: ***ტრავმ***-ჯაკოპო სალა

ბოლონია: ***ტრავმ***-ორი ოკვონკვო

**კალიარი-იუვენტუსი**

კალიარი: ***ტრავმ***-დიეგო ფარიასი, სიმონე პადოინი, ფედერიკო მელხიორი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარიო ლემინა

**ლაციო-მილანი**

ლაციო: ***ტრავმ***-კრისტიანო ლომბარდი

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონელი, ჯაკომო ბონავენტურა, რიკარდო მონტოლივო, მატია დე სკილიო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 23 | 19 | 0 | 4 | 47-16 | 57 |
| 2.რომა | 23 | 16 | 2 | 5 | 48-21 | 50 |
| 3.ნაპოლი | 23 | 14 | 6 | 3 | 55-26 | 48 |
| 4.ლაციო | 23 | 13 | 4 | 6 | 41-27 | 43 |
| 5.ინტერი | 23 | 13 | 3 | 7 | 37-24 | 42 |
| 6.ატალანტა | 23 | 13 | 3 | 7 | 36-25 | 42 |
| 7.მილანი | 23 | 12 | 4 | 7 | 33-27 | 40 |
| 8.ფიორენტინა | 23 | 10 | 7 | 6 | 38-33 | 37 |
| 9.ტორინო | 23 | 8 | 8 | 7 | 40-33 | 32 |
| 10.სამპდორია | 23 | 8 | 6 | 9 | 26-29 | 30 |
| 11.კიევო | 23 | 8 | 5 | 10 | 22-30 | 29 |
| 12.უდინეზე | 23 | 8 | 5 | 10 | 27-29 | 29 |
| 13.სასუოლო | 23 | 8 | 3 | 12 | 32-37 | 27 |
| 14.ბოლონია | 23 | 7 | 6 | 10 | 22-34 | 27 |
| 15.კალიარი | 23 | 8 | 3 | 12 | 32-48 | 27 |
| 16.ჯენოა | 23 | 6 | 7 | 10 | 27-33 | 25 |
| 17.ემპოლი | 23 | 5 | 7 | 11 | 14-31 | 22 |
| 18.პალერმო | 23 | 3 | 5 | 15 | 19-42 | 14 |
| 19.კროტონე | 23 | 3 | 4 | 16 | 20-40 | 13 |
| 20.პესკარა | 23 | 1 | 6 | 16 | 19-50 | 9 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.02 გენგამი-ლიონი | 3.75 | 3.6 | 1.95 |
| 11.02 მონაკო-მეცი | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 11.02 დიჟონი-კაენი | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 11.02 ტულუზა-ბასტია | 1.91 | 3.2 | 4.5 |
| 11.02 ლილი-ანჟე | 1.91 | 3.2 | 4.5 |
| 11.02 ნანსი-მონპელიე | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 12.02 რენი-ნიცა | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 12.02 სტ.ეტიენი-ლორიანი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 12.02 ნანტი-მარსელი | 3.2 | 3.2 | 2.3 |

**გენგამი-ლიონი**

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

ლიონი: ***ტრავმ***-ნიკოლას ნკულუ, მუხტარ დიახაბი

**მონაკო-მეცი**

მონაკო: ***ტრავმ***-ანდრეა რაგი, ნაბილ დირარი

მეცი: ***ტრავმ***-გეორგ მანჯეკი

**დიჟონი-კაენი**

დიჟონი: ***ტრავმ***-არნოლდ ბუკა მოტო, მეჰდი აბეიდი, ფუად ჩაფიკი

კაენი: ***ტრავმ***-სიამ ბენ იუსუფი, ემანუელ იმოროუ, მუჰამადუ დაბო

**ტულუზა-ბასტია**

ტულუზა: ***ტრავმ***-არავინ

ბასტია: ***ტრავმ***-პიერ ბენგსტონი, სებასტიან სკილაჩი

**ლილი-ანჟე**

ლილი: ***ტრავმ***-ნაიმ სლიტი, რიო მავუბა, რაიან მენდესი

ანჟე: ***ტრავმ***-ჩეიკ ნდოიე, კარლ ტოკო ეკამბი, იოენ ენდრიუ, ბილი კეტკეოპომპონე

**ნანსი-მონპელიე**

ნანსი: ***ტრავმ***-არავინ

მონპელიე: ***ტრავმ***-იორის მავრო, დანიელ კონრე, კაზიმირ ნინგა

**რენი-ნიცა**

რენი: ***ტრავმ***-ჯოვანი სიო, კეტმიტ ერასმუსი

ნიცა: ***ტრავმ***-იუნის ბელანდა, ვალტერ ბენიტესი

**სტ.ეტიენი-ლორიანი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ოსამა ტანანე, ანრი სავო, ჩეიკ მბენგუე, რობერტ ბერიჩი, ალექსანდერ სოდერლუნდი

ლორიანი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მუკანჯო

**ნანტი-მარსელი**

ნანტი: ***ტრავმ***-რემი რიო

მარსელი: ***ტრავმ***-ტომას ჰუბოჩანი, კლინტონ მუა ნჯიე, აბუ დიაბი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 24 | 17 | 4 | 3 | 70-23 | 55 |
| 2.პსჟ | 24 | 16 | 4 | 4 | 47-18 | 52 |
| 3.ნიცა | 24 | 15 | 7 | 2 | 39-18 | 52 |
| 4.ლიონი | 23 | 13 | 1 | 9 | 44-27 | 40 |
| 5.სტ.ეტიენი | 24 | 9 | 9 | 6 | 26-19 | 36 |
| 6.მარსელი | 24 | 10 | 6 | 8 | 31-28 | 36 |
| 7.ბორდო | 24 | 9 | 9 | 6 | 29-28 | 36 |
| 8.რენი | 24 | 8 | 8 | 8 | 23-27 | 32 |
| 9.გენგამი | 24 | 8 | 7 | 9 | 28-29 | 31 |
| 10.ტულუზა | 24 | 8 | 6 | 10 | 27-27 | 30 |
| 11.ნანსი | 23 | 7 | 6 | 10 | 18-29 | 27 |
| 12.მეცი | 23 | 8 | 5 | 10 | 24-39 | 27 |
| 13.ლილი | 24 | 7 | 5 | 12 | 22-30 | 26 |
| 14.მონპელიე | 24 | 6 | 8 | 10 | 33-42 | 26 |
| 15.ნანტი | 23 | 7 | 5 | 11 | 15-31 | 26 |
| 16.კაენი | 23 | 7 | 4 | 12 | 25-40 | 25 |
| 17.დიჟონი | 24 | 5 | 9 | 10 | 32-37 | 24 |
| 18.ანჟე | 24 | 6 | 6 | 12 | 19-32 | 24 |
| 19.ბასტია | 23 | 5 | 7 | 11 | 20-28 | 22 |
| 20.ლორიანი | 24 | 6 | 4 | 14 | 27-47 | 22 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა უნდა ვიცოდეთ ყურის ანთებით პროცესზე

ეკა ირემაშვილი



უფროსებისგან გამიგონია, ყურის ტკივილი დათვს კლავსო. მკითხველი დამეთანხმება, რომ ყურის ტკივილი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მომენტია ჩვენს ცხოვრებაში. მიჩნეულია, რომ ყური ყველაზე ხშირად პატარებს სტკივათ და ეს მართლაც ასეა, თუმცა ჩივილები არცთუ ისე იშვიათად აქვთ მოზრდილებსაც.

ყურის დაავადებებს, ზედა სასუნთქი გზების დაავადებებთან ერთად, მედიცინის დარგი — ოტო-რინო-ლარინგოლოგია შეისწავლის. ოტო-რინო-ლარინგოლოგია ქირურგიის ეროვნულ ცენტრში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. იქ წარმატებით ხორციელდება შემდეგი ოტო-რინო-ლარინგოლოგიური ნოზოლოგიების დიაგნოსტიკა და მკურნალობა: ქრონიკული ტონზილიტის, მწვავე ანგინის, ფარინგიტის, სინუსიტი — ჰაიმორიტის, სფენოიდიტის, ფრონტიტის, ეთმოიდიტის, სხვადასხვა სახის ოტიტისა და რინიტის, ლარინგიტისა და ა.შ. წარმატებით მიმდინარეობს ოტო-რინო-ლარინგოლოგიურ დაავადებათა ქირურგიული მკურნალობა როგორც პირის, ასევე ცხვირის ღრუში, ხორხსა და ყურზე.

ქირურგიის ეროვნულ ცენტრში ცხვირის ღრუში ენდოსკოპიური ოპერაციები უკვე დაინერგა. ქირურგიული ჩარევა თანამედროვე აპარატებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება.

რა იწვევს ყურის ტკივილს, როგორ მოვიქცეთ ყურის ანთების დროს და როგორია მკურნალობის მეთოდი? — ამ თემაზე ოტო-რინო-ლარინგოლოგი ბეჟან ხელაშვილი გვესაუბრა.

**ბეჟან ხელაშვილი:**

— ყურის ანთების დროს ექიმთან ვიზიტია აუცილებელი — არ არის რეკომენდებული საკუთარი ძალებით მკურნალობა, რადგან ამ ტკივილის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ყურის ტკივილი, ასევე ყბის სახსარი ან კუნთი.

საბედნიეროდ, ტექნოლოგიები ყოველწლიურად ვითარდება და ჩვენც ვცდილობთ, ყველა სერიოზულ კონფერენციას დავესწროთ და გამოვიყენოთ წარმოდგენილი მეთოდები. შეძლებისდაგვარად, მსოფლიო მასშტაბით არსებული ყველა სიახლე ჩვენს კლინიკაში დაინერგება.

***— რა რეკომენდაციებს მისცემთ ჩვენს მკითხველს ყურის ანთების დროს?***

— ყურის ანთების დროს ექიმთან ვიზიტია აუცილებელი. შეიძლება, გოგირდის საცობია და ეს იწვევს ტკივილს. დიახ, არის პრეპარატები, რომლებიც შეიძლება ახლობელმა ან მეგობარმა გირჩიოთ, მაგრამ, მაგალითად, თუ სახეზეა დაფის აპკის პერფორაცია, არსებობს რიგი პრეპარატები, რომელთა ჩაწვეთებაც არ შეიძლება! იმისთვის, რომ ზუსტი დიაგნოზი დაისვას და პაციენტმა ადეკვატური მკურნალობა მიიღოს, აუცილებელია ექიმთან მისვლა.

როდესაც პაციენტი ქირურგიის ეროვნულ ცენტრს ყურის ანთებასთან დაკავშირებული ჩივილებით მომართავს, დახმარება შესაბამისი პროცედურების გამოყენებით ხდება, მათ შორის ადგილობრივი და ზოგადი გამაყუჩებლის თერაპიით და ენიშნება რამდენიმედღიანი კომპლექსური მედიკამენტური მკურნალობა.

უნდა აღინიშნოს, რომ შუა ყურის ანთება, უმრავლეს შემთხვევაში, ცხვირის ღრუში მიმდინარე სხვადასხვა სახის ანთებითი პროცესებიდან მოდის. მნიშვნელოვანია, ცხვირის ღრუ იყოს ყოველთვის გამავალი და არ არსებობდეს სუნთქვისთვის დაბრკოლება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ყურისთვის. თუ ცხვირით სუნთქვა არ ხდება, ფილტვი ბოლომდე არ იშლება. შესაბამისად, ორგანიზმი სასურველი რაოდენობის ჟანგბადს ვერ იღებს.

***— რა იწვევს ყურის ტკივილს?***

— გრიპის დროს ცხვირში პრობლემა იჩენს თავს. არსებობს შუა ყურისა და ცხვირის ღრუს დამაკავშირებელი მილი, რომელსაც ევსტაქის მილი ეწოდება და რომელიც ცხვირში იხსნება — წნევა გარემოსა და შუა ყურში თანაბარი უნდა იყოს. გრიპისა და ვირუსის დროს, როგორც კი ცხვირის ღრუში შეშუპება მოხდება, ისედაც ვიწრო მილი სწრაფად იკეტება — თუ ვერ შევძელით ამ მილის გახსნა, შუა ყურში უარყოფითი წნევა წარმოიქმნება და, შესაბამისად, ჩნდება ტკივილიც.

***— ხშირად ამბობენ, რომ ყურის ტკივილს ქარიან ამინდში სიარული იწვევს...***

— რაც შეეხება საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, თითქოს ყურის ტკივილს ქარიან ამინდში გარეთ ყოფნა იწვევს, შეიძლება, საქმე ეხებოდეს როგორც ყურის ტკივილს, ასევე ყბის სახსრის ანთებას. საქმე ის არის, რომ ყბის სახსარი გარეთა სასმენ მილთან იმდენად ახლოსაა, ძალიან ხშირად პაციენტები შეცდომაში შედიან და ჰგონიათ, რომ ყური სტკივათ. ძირითადად ეს პრობლემა მძღოლებს აწუხებთ, რადგან ღია ფანჯრიდან ჰაერი უბერავს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ტკივილი სახის არეშიც ვრცელდება და სიცივეზე შეგრძნება მატულობს, ეს უკვე ნერვის პრობლემაზე მიუთითებს და აუცილებელია, მკურნალობის პროცესში, ყელ-ყურის გარდა, ნევროპათოლოგიც ჩაერთოს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

### ა ც ხ ა დ ე ბ ს

__ღია კონკურსს__

**შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:**

**1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, საბადოთა დამუშავების და კომპლექსური მექანიზაციის განყოფილების კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული;**

**2. აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილების მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული;**

**3. ანალიზური ქიმიის და წიაღისეულის გამდიდრების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული.**

### კ ო ნ კ უ რ ს ი ს   პ ი რ ო ბ ე ბ ი

**კონკურსანტს უნდა გააჩნდეს:**

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. სტრუქტურული ერთეულის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
3. მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება;
4. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი (ზოგადი ცოდნა), სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა (ზოგადი ცოდნა), უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;
5. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს ქართულ ენას, ასევე ინგლისურ ან რუსულ ენას;
6. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებსა და ინტერნეტს.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან/და ატვირთონ PDF ფორმატში:**

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ ვებ-გვერდზე www.mining.org.ge);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში მისი სამეცნიერო საქმიანობის ხედვა;
8. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
9. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
10. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
11. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).

— საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში მისამართზე — ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7, ოთახი 220 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე: tmi@mining.org.ge, 2017 წლის 11 მარტის 10 საათიდან 17 მარტის 17 საათამდე.

— კონკურსი გაიმართება 2017 წლის 20 მარტიდან 24 მარტამდე პერიოდში.

**დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი**
**გიორგი ქართველიშვილი**
**ტელეფონი: 577 39 25 48**
**tmi@mining.org.ge (კონკურსები)**

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 13 თებერვალი

07.00 დოკ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 08.00 ანიმაცია."ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00"მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 "სიტყვების თამაში" 15.00, 01.40 "x სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00, 02.40 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "შურისძიება" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ "მთავრობა 00.00 მხ/ფ "რეალობა იკბინება"

08.00 დ/ფ " ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" 09.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 10.00 მხ/ფ "ტურის დღე" 12.00 ტ/სერ. "ევას სამი ვრდი" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "ამერიკული ოდისეა" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "მშვიდობით ბარი"

